პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი | № 151 (12359) | პარასკევი, 29 ივნისი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

მუშებლებო, ტემპი!

ბარტია, და საბჭოთა მთავრობა უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევენ საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობას. ყოველწლიურად სულ უფრო მეტი და მეტი სახსრები იხარჯება ბინათმშენებლობაზე. იქ, სადაც პარტიული ორგანოები, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები მტკიცე კონტროლს ახორციელებენ სამშენებლო გეგმების შესრულებისა და მისი ხარისხის ამაღლებისათვის, წარმატებები თვალსაჩინოა.

საქართველოში ყოველწლიურად იზრდება საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ტემპი. მაგალითად, 1962 ხელს ეარტო თბილისში მთავრობისშენის სამიენებლო სამმართველოებმა უსდა ააგო და საექსპლოატაციოდ გადაცემენ 130.648 კვადრატული ძეტრი საცხოვრებელი ფართობი, რაც ნიხა წლის გეგმას 14.068 კვადრატული მეტრით აღემატება.

სბინაო მშესებლობის ამ მზარდ ტემპს უზრუნველყოფს მისი ინდუსტრიული ბაზის გაღუხეკეტელი გაფართოება. ჯერ კიდევ ორი ხელის წინათ რკინაბეტონის ააგზყობი კონსტრუქციებით სახლები შენდებოდა როგორც საცდელი. ახლა კი თბილისში, რუსთავში, ქუთაისში და სხვა ქალაქებში რკინაბეტონის ასაწყობი კონსტროუქციებით იქნება მთელი უბნები და რაიონები. რკინაბეტონის კონსტრუქციებს ამჟამად ბინათმშენებლობაში 70 პროცენტამდე უკავია. ეს კი ერთ-ერთი მთავარი პირობაა იმ ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის, რომლებიც პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დასახეს მშრომელთა ბინების ნაკლებობის ლიკვიდაციის საქმეში.

უნდა აღინიშნოს ერთი მანკიერი სტილი საქართველოს ბინათმშენებლობაში. საცხოვრებელი ფართობის ნახევარზე მეტს საექსლოატაციოდ გადასცემენ წლის ბოლოს, რაც გამოწვეულია ეერიშობანით, რომელიც თავის მხრივ წარმოშობდა სამშენებლო სამუშაოთა დაბალ ხარისხს. სახლებს ხშირად საცხოვრებლად გადასცემენ დიდი დეფექტებით, რაც მშრომელთა სამართლიან საყვედურებს იწვევს. შემდეგ ამ დეფექტების გამოსწორებაზე დიდი შრომა და აუარებელი სახსრები იხარჯება, გარდა ამისა, მობინადრეებს, რომლებსაც განაწილებით ბინები პირველ კვარტალში უნდა მიეღოთ, წლის ბოლომდე უხდებოდათ ლოდინი.

მთავართბილისმშენის ბინათმშენებლების სახახელოდ უნდა თქვას, რომ შეიდწლეულის მეოთხე წელს მათ თავი დაალწიეს მშენებლობის ამ მანკიერ სტილს და სახლებს საექსლოატაციოდ გადასცემენ ყოველთვიურად. მაგალითად, წლის პირველ ნახევარში საექსლოატაციოდ უნდა გადასცენ 36.596 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ფაქტიურად გასულ ხუთ თვეში უკვე გადაცემულია 30.930 კვადრატული მეტრი. ეს თბილისის ბინათმშენებლობაში დიდ ვარდაცხას ნიშნავს.

გასულ წელთან შედარებით მკვეთრად გაუმჯობესეს მუშაობა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ტრესტებმა. თუ გასული წლის პირველ კვარტალში საექსლოატაციოდ არცერთი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი არ ჩაუბარებიათ, წელს პირველ კვარტალში, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 11.247 კვადრატული მეტრისა, საექსლოატაციოდ გადასცეს 17.842 კვადრატული მეტრი.

რიტმული და ორგანიზებული მუშაობით განსაკუთრებით გამოირჩევიან მეექვსე და მეცხრე სამშენებლო ტრესტები (უფროსები ე. ამიჯბა და შ. კიტოვანი). აღნიშნული ტრესტების მშენებლებმა მაისის პირველი ნახევრისათვის დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ნახევარი წლის სამშენებლო გეგმები და თავიანთი ნაოფიერი შრომის შედეგებით გაახარეს სოხუმისა და გორის მშრომელები, რომლებიც ჯადაზე ადრე შესახლდნენ ახალ ბინებში.

წელს განსაკუთრებით გამართულად მუშაობს ერთ-ერთი დიდი პირველი სამშენებელო ტრესტი (უფროსი ზ. ჯაფარიძე), რომელიც აშენებს რუსთავის მეტალურგთა ქალაქს. ამ ტრესტის მშენებლებმა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში უნდა ააშენონ და მეტალურგებს საცხოვრებლად გადასცენ 15.825 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. პირველ კვარტალში უკვე აგებულია და საექსლოატაციოდ ჩაბარებულია 8.000 კვადრატულ მეტრზე მეტი. მშენებლობაში მყოფი სახლები დღეისათვის ისეთ მდგომარეობამდეა მიყვანილი, რომ მშენებლები რამდენიმე დღეში კიდევ გადასცემენ 7.225 კვადრატულ მეტრს და ამით ნახევარი წლის გეგმას შეასრულებენ.

მიუხედავად იმისა, რომ წელს თითქმის ყველა სამშენებლო ტრესტმა და სამმართველომ გასულ წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გარდაქმნა მუშაობა და რეგულარულად აბარებს სახლებს საექსლოატაციოდ, ზოგიერთი ტრესტი ჯერ კიდევ სცოდავს. მაგალითად, მერვე ტრესტში (უფროსი გ. შანიძე), რომელიც ბინათმშენებლობას აწარმოებს მარგანეცის ქალაქში—ჭიათურაში, არასახარბიელო მდგომარეობაა. აქ ნახევარი წლის განმავლობაში უნდა ააშენონ და საექსპლოატაციოდ გადასცენ 5.354 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. პირველ კვარტალში ჩაბარებულია მხოლოდ 1.546 კვადრატული მეტრი. მშენებლობაში მყოფი სახლები კი ნათლად მეტყველებენ იმაზე, რომ ნახევარი წლის გეგმის შესრულება ტრესტს გაუჭირდება, და თუ ამ ტემპით აშენა, წლიურ გეგმას ჩაშლა მოელის.

ასევე არასახარბიელო მდგომარეობა აქვს მესამე სამშენებლო ტრესტს, რომელსაც კ. დიდებულიძე ხელმძღვანელობს. აქ პირველ კვარტალში ნახევარი წლის გეგმის ნახევარზე მეტი ჩაბარეს, მაგრამ მეორე კვარტალში მუშაობის ტემპი შეანელეს. და თუ ასეთი ტემპით განაგრძეს მუშაობა, მათ გაუჭირდებათ ჩამორჩენის დაძლევა.

იმისათვის, რომ ყველა სამშენებლო ტრესტი და სამმართველო გამართულად და რიტმულად მუშაობდეს, საჭიროა პარტიული ორგანოები, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები, ცალკეული კომუნისტები სათავეში ჩაუდგნენ მასების შემოქმედებითს ინიციატივას, გამოავლინონ და ფართოდ გამოიყენონ რეზერვები, გაავრცელონ და დანერგონ ყოველივე ახალი და მოწინავე, გულმოდგინედ ადევნონ თვალყური, რათა ყველა სამშენებლო უბანზე იქმნებოდეს იმის პირობები, რომ მშენებლებმა წარმატებით შეასრულონ ბინათმშენებლობაში პარტიის მიერ დასახული ამოცანები.

სამშენებელო ორგანიზაციებმა წინა წლებთან შედარებით კიდევ ერთი დიდი ნაკლი გამოასწორეს. შენდებოდა მთელი საცხოვრებელი კვარტალები და რატომღაც მხედველობიდან რჩებოდათ კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა მშენებლობა, რაც მობინადრეთა სავსებით კანონიერ უკმაყოფილებას იწვევდა. წელს ეს დიდი ხარვეზი გამოსწორებულია. თითქმის ყველგან საცხოვრებელი სახლების პარალელურად შენდება მაღაზიები, საავადმყოფოები, სკოლები, საბავშვო ბაღები, საბავშვო ბაღები და სხვა საყოფაცხოვრებო ნაგებობანი.

მიუხედავად ბინათმშენებლობაში მოპოვებული წარმატებებისა, ჯერ კიდევ არის სერიოზული ხარვეზები. კერძოდ, ეს ეხება წლიური სამუშაო გეგმების არათანაბარ განაწილებას კვარტალების მიხედვით. როგორც მშენებლობის სამინისტროს, ისე მთავართბილისმშენის ხელმძღვანელებს წლის პირველ ნახევარში შესასრულებლად წლიური გეგმის მხოლოდ მესამედი აუღიათ, რაც სწორი არ არის. სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს უნდა ვუთხრათ, რომ წლის პირველი ნახევრის გეგმების შესრულების რეალური საშუალება მათ დამშვიდების საშუალებას არ აძლევთ, ვინაიდან წლის მეორე ნახევარში მათ სამჯერ მეტი სამუშაოები აქვთ შესასრულებელი.

პარტია, მთავრობა, მშენებლობათა ხელმძღვანელობისაგან, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისაგან, ყველა მშენებელი მუშისაგან მოითხოვს დღითიდღე აუმჯობესოს საბინაო მშენებლობის პრაქტიკა, იბრძოლონ ტექნიკური პროგრესისათვის მშენებლობაში, უფრო სწრაფად აღმოფხვრან არსებული ნაკლოვანებანი, დაინახონ, მხარი დაუჭირონ და დანერგონ მოწინავე მშენებელთა გამოცდილება, რომელიც ჩვენს დიად ქვეყანაში მცირე როდია. ამასთან უფრო აქტიურად განავითარონ ადგილობრივი ინიციატივა, უკეთ გამოიყენონ ადგილობრივი გამოცდილება და შესაძლებლობანი მშენებლობის დაჩქარებისა და გაუმჯობესებისათვის.

მშენებელთა გადაუდებელი ამოცანაა აშენონ სახლები იაფად, სწრაფად და მკვიდრად. ამ ამოცანებზე უნდა იყოს მიპყრობილი პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების, ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების, მთელი ჩვენი საზოგადოებრივობის ყოველდღიური ყურადღება.

ვიზიტად მოსკოვში

მოსკოვი, 28 ივნისი. (საკდესი). დღეს საბჭოთა მთავრობის მოწვევით მოსკოვს ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდნენ ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური კანცლერი ა. გორბაჩი და მისი თანმხლები პირნი.

ვნუკოვოს აეროდრომზე ავსტრიელ საპატიო სტუმრებს შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიკოიანი, მინისტრები და სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, აგრეთვე დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და ავსტრიის ფედერალურმა კანცლერმა ა. გორბაჩმა აეროდრომზე ერთმანეთს მიმართეს სიტყვებით.

ნ. ხრუშჩოვმა მიიღო

ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური კანცლერი

ა. გორბაჩი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა 28 ივნისს კრემლში მიიღო ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური კანცლერი დოქტორი ა. გორბახი.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და ა. გორბახს შორის გაიმართა საუბარი, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა. (საკდესი).

დოქტორი ა. გორბახი ეწვია ლ. ი. ბრეჟნევს

ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური კანცლერი დოქტორი ა. გორბახი 28 ივნისს კრემლში ეწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს.

ლ. ი. ბრეჟნევსა და დოქტორ ა. გორბახს შორის გაიმართა მეგობრული ხასიათის საუბარი. (საკდესი).

კომბაინერმა მ. მჭედლიძემ პიროგა გაანაღდა

ლაგოდეხი, 28 ივნისი. (ტელეფონით). სიღნაღის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოში შემავალი ლაგოდეხის რაიონის სოფელ ვარდისუბნის მ. გორკის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორმა მიხეილ მჭედლიძემ მოწოდებით მიმართა საქართველოს მექანიზატორებს ათ სამუშაო დღეში დამთავრებინათ მოსავლის აღება და თვითთეულ ჰექტარზე გაელიწათ 18-20 ცენტნერი მარცვალი.

შეჯიბრების ინიციატორმა პირობა სასახელოდ შეასრულა, მანქანის სრული დატვირთვით გამოყენების შედეგად თვითმავალი კომბაინით კვრეულის მოსავალი აიღო 150 ჰექტარზე და საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 20 ცენტნერი მარცვალი.

სახელოვანი კომბაინერი მ. მჭედლიძე მიღწეულით არ კმაყოფილდება, კვლავ განაგრძობს მუშაობას. იგი ყოველდღე კვრეულის მოსავალს ილებს 12-15 ჰექტარზე და ლეწავს 18-20 ცენტნერ მარცვალს.

კურს სწრაფად მკიან

სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობას ასაღები აქვს 1.743 ჰექტარი ხორბალი. ხუთ სამეშო დღეში უკვე მომკილია 850 ჰექტარი. წარმატებას აღწევს № 8 კომბაინის ავრეგატი, რომელსაც გ. ასანიშვილი ხელმძღვანელობს. იგი დღეში ბურეულის მოსავალს იღებს 13 ჰექტარზე და თვითეულ ჰექტარზე ლეწავს 25 ცენტნერ მარცვალს. ასევე კარგად მუშაობს № 7 კომბაინის ავრეგატი (უფროსი უ. მოსულიშვილი).

ჟ. ბეგიაშვილი,

ქვემო მაჩხაანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის პარტიორგანიზაციის მდივანი.

მეტი თივა, სილოსი

საბარეუბნო საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებული ტრესტის სამმართველოში შემავალ სამგორის რაიონის საბჭოთა მეურნეობებში სიმინდის ნათესის დამუშავებასა და თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის მკასთან ერთად ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ბუნებრივი და ნათესი ბალახის თიბვა, დაზვინვა და დასილოსება. თივა უკვე აღებულია 1.684 ჰექტარზე მეტი. დაზვინულია 7.715 ცენტნერი ბალახი.

ზოგმა მეურნეობამ დაიწყო სილოსის დამზადება. ამ მხრივ პირველია სამგორის მეძროვეობის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი მ. ხიალოვი, მთავარი აგრონომი ა. კაკაურიძე). აქ უკვე სასილოსედ დაამზადეს და ჩადეს 10 ათასზე მეტი ცენტნერი სიმინდისა და ბარდის მწვანე მასა.

ნათესი და ბუნებრივი ბალახის მოსავალი აღების საქმეში წინ მიდიან ნორიოს, რუისბოლოს, თელეთის და მარტყოფის საბჭოთა მეურნეობები.

გუშინ პლანტაციებში



ფახარაძე. სოფელ მთისპირის კოლმეურნეობაში თავი ისახელა ოლია მამეშვილმა, რომელმაც მოკრიფა 50 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, დღიური დავალება ორმაგად შეასრულა. სულ მოკრეფილი აქვს 2.900 კილოგრამი ჩაის ნედლეული ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 2.600 კილოგრამისა. ამავე კოლმეურნეობაში ნელი წიტაიშვილმა მოკრიფა 45 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

ჩხოროწყუ. სოფელ ჩხოროწყუს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში თამარ სორდიამ მოკრიფა 45 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ნორა არახამიამ — 40 კილოგრამი. თალიკო ვეკუამ მოკრიფა 50 კილოგრამი.

ერთხელ კიდევ დამტკიცეს მეჩაიეებმა, რომ მათი სიტყვა და საქმე ერთია. მახარაძის რაიონის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ს. ჯანელიძის კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები რაიონში მოწინავეები არიან. ბრიგადამ ვალდებულება იკისრა ნაცვლად 80 ტონისა სახელმწიფოს ჩაბარეს 100 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. თვეის და ასრულებენ კიდეც, მათ უკვე მოკრიფეს 80 ტონა ჩაის ფოთოლი. სახელი გაითქვეს ნაზი რუხაძემ და ნინო ნერტიკმა, რომლებიც დღიურ ნორმას სამმაგად ასრულებენ.

სურათზე: ნ. ნერტიკი და ნ. რუხაძე.

ფოტო ს. კილაძისა.

ასე შრომობენ მეჩაიეები

მოკრეფილია 85.688 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი

საქართველოს მეჩაიეები დიდი და საპატიო საქმისათვის იბრძვიან. მათ ვალდებულება იკისრეს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 155.000 ტონისა 1 სექტემბრისათვის მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 160.000 ტონა მწვანე ფოთოლი.

მეჩაიეთა სიტყვა და საქმე ერთია. ისინი ენერგიის დაუზოგავად შრომობენ და წარმატებას წარმატებაზე აღწევენ. ჯერ იყო და მაისში წლიური გეგმით ნავარაუდევი 85 პროცენტი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს, ხოლო 18 ივნისისათვის მაის-ივნისის გეგმა გაანდღეს. ამ დღეებში ახალი წარმატება მოიპოვეს — 85.688 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფეს. ეს წლიური გეგმის 55,8 პროცენტია.

საქართველოს მეჩაიეთა წარმატებაზე. ისიც მეტყველებს, რომ 25 ივნისისათვის მათ 12.582 ტონით მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს, ვიდრე შარშან ამავე პერიოდისათვის.

რომელი საწარმოო სამმართველო დაწინაურდა ჩაის კრეფაში?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელი როდია. თუ გადავხედავთ ჩაის კრეფის რესპუბლიკურ ცნობებს, აღმოჩნდება, რომ ყველა სამმართველო მოწინავეა. მაგრამ ნათქვამია — „მჯობნის მჯობნა დალევსო“. მოწინავეთა შორის მოწინავენი არიან ზესტაფონის, წყალტუბოს, სამტრედიის, ქობულეთის, მახარაძის და ცხაკაიას საწარმოო სამმართველოები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქობულეთის, მახარაძის და ცხაკაიას სამმართველოების ხელმძღვანელთა (სამმართველოების უფროსები — რ. სიორიძე, ვ. ჭაკელი და დ. ბაღათურია, საქართველოს კომბინატის ცენტრალური კომიტეტის ან სოლქმო კომიტეტის პარტიორგები — ნ. ხახუტაშვილი, ვ. თოხაძე და ნ. შონია) და მეჩაიეთა შრომითი საქმიანობა.

ქობულეთის საწარმოო სამმართველოში შემავალმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა 25 ივნისისათვის 58,9 პროცენტით შეასრულეს, მახარაძის საწარმოო სამმართველომ — 56,8 პროცენტით, ცხაკაიას საწარმოო სამმართველომ — 55,7 პროცენტით, ზუგდიდის საწარმოო სამმართველომ — 52,9 პროცენტით, სოხუმის საწარმოო სამმართველომ — 51,9 პროცენტით. ისინი ცალკე გამოყავით იმიტომ, რომ რესპუბლიკაში ჩაის ფოთლის კრეფის მთელი ტვირთი თითქმის მთლიანად ამ სამმართველოების მეჩაიეებს აწევთ. მათ წელს გეგმით უნდა მოკრიფონ 141.984 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, მთლიანად რესპუბლიკის მეჩაიეებმა კი 155.000 ტონა. ამ სამმართველოების მეჩაიეებმა 25 ივნისისათვის მოკრიფეს 78.052 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. მთლიანად რესპუბლიკაში ამ დროისათვის მოკრეფილი იყო 85.688 ტონა.

ჰექტარზე 80 ცენტნერი სიმინდისათვის

სოფელ ნიგორზღვის კოლმეურნეობაში ყოველწლიურად სიმინდის უხვი მოსავალი მოგვყავს. შარშან ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 27 ცენტნერისა თვითეულ ჰექტარზე 34 ცენტნერი სიმინდი მივიღეთ. მესამე წელია ზედიზედ ვინარჩუნებთ მოწინავე მესიმინდეეებისათვის დაწესებულ რაიონულ წითელ დროშას.

წელს კარგად ვუვლით სიმინდის ნათესს. ზოგიერთ ბრიგადაში ნათესს მეორედ თოხნიან. გადაწყვეტილი გვაქვს სამუალოდ ჰექტარზე მივიღოთ 40 ცენტნერი მარცვალი, ხოლო 30 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 70 ცენტნერი.

ნაყოფიერად მუშაობს მესიმინდე ომარ გაგუა. იგი ჰექტარზე 80 ცენტნერს გვპირდება.

ა. გაგუა,

სამტრედიის რაიონის სოფელ ნიგორზღვის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის XIV ყრილობა

28 ივნისს მუშაობას განაგრძობდა საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის XIV ყრილობა.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობისა და საუკეთესო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ: საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე—დამზადების სამმართველოს უფროსი ხ. ი. ესაძე, წნორის საკონსერვო ქარხნის დირექტორი ვ. ტ. შავლაყაძე, სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრალური საბჭოს. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე დ. ს. ტიმოფეევი.

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. მ. სირაძემ.

ყრილობამ დამაკმაყოფილებლად შეაფასა ცეკავშირის გამგეობის მუშაობა, დაბის თავმჯდომარე, გამგეობის წევრები და სარევიზიო კომისია, აგრეთვე სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის რწმენებულთა VI ყრილობის დელეგატები.

ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია ა. კ. ცაგარეიშვილი, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ — ვ. ვ. ყვალიაშვილი.

ყოილობის სახელზე მოვიდა რუსეთის სფს რესპუბლიკისა და ესტონეთის კოოპერატორთა მისალმებანი. ქართველმა კოოპერატორებმა მისალმება გაუგზავნეს სომხეთის სამომხმარებლო კოოპერაციის ყრილობას.

ამით ყრილობამ დაამთავრა მუშაობა.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ყრილობის მუშაობის დაწვრილებითი ანგარიში გამოქვეყნდება გაზეთის უახლოეს ნომერში. (საქდესი).

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის XIV ყრილობა

28 ივნისს მუშაობას განაგრძობდა საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის XIV ყრილობა.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობისა და საუკეთესო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ: საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე—დამზადების სამმართველოს უფროსი ხ. ი. ესაძე, წნორის საკონსერვო ქარხნის დირექტორი ვ. ტ. შავლაყაძე, სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრალური საბჭოს. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე დ. ს. ტიმოფეევი.

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. მ. სირაძემ.

ყრილობამ დამაკმაყოფილებლად შეაფასა ცეკავშირის გამგეობის მუშაობა, დაბის თავმჯდომარე, გამგეობის წევრები და სარევიზიო კომისია, აგრეთვე სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის რწმენებულთა VI ყრილობის დელეგატები.

ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია ა. კ. ცაგარეიშვილი, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ — ვ. ვ. ყვალიაშვილი.

ყოილობის სახელზე მოვიდა რუსეთის სფს რესპუბლიკისა და ესტონეთის კოოპერატორთა მისალმებანი. ქართველმა კოოპერატორებმა მისალმება გაუგზავნეს სომხეთის სამომხმარებლო კოოპერაციის ყრილობას.

ამით ყრილობამ დაამთავრა მუშაობა.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ყრილობის მუშაობის დაწვრილებითი ანგარიში გამოქვეყნდება გაზეთის უახლოეს ნომერში. (საქდესი).

უკაცრავად, საათს

ბაგრატიონ-მუხრანელ ბატონიშვილთა ოჯახის ისტორიიდან

ბ. ბ. ბაგრატიონ-მუხრანელ ბატონიშვილ-ბაგრატიონ-ყარაბაღელ ბატონიშვილ-ბაგრატიონ-ავალელ ბატონიშვილ-ბაგრატიონ-ბოლოქაელ ბატონიშვილ-ბაგრატიონ-ბოლოქაელ ბატონიშვილ-ბაგრატიონ-ბოლოქა

სკკპ მრავალჯერადი ისტორიის მომავალი გამოცემისათვის

II.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეცნიერული პერიოდიზაცია უნდა ემყარებოდეს უწინარეს ყოვლისა ვ. ი. ლენინის მიერ მოცემულ შეფასებებს და ლენინურ დოკუმენტებს.

ჩვენი პარტიის ისტორიის ძირითადი ეტაპების გამუქებისას საჭიროა, კერძოდ, ღრმესეულად აღინიშნოს დიდი მნიშვნელობა რსდმპ I ყრილობისა (1898 წელი), რომელმაც გამოაცხადა რუსეთში მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნა და გამოუშვა „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მანიფესტი“, რომლის ძირითად დებულებებს სოლიდარობა გამოუცხადა ვ. ი. ლენინმა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პარტიის II ყრილობას (1903 წელი), რომლის ამოცანა, როგორც ლენინი აღნიშნავდა, იყო „ნამდვილი პარტიის შექმნა იმ პრინციპულ და ორგანიზაციულ საფუძვლებზე, რომლებიც წამოაყენა და დაამტკიცა „ისკრამ“ (თხზ., ტ. 7, გვ. 249). ფუძემდებელ მომენტს იმ საკითხის გადასაწყვეტად, თუ როგორის ჩამოყალიბდა **ბოლშევიკური, ლენინური** პარტია, წარმოადგენს ვ. ი. ლენინის მითითება იმის შესახებ, რომ „ბოლშევიზმი, როგორც პოლიტიკური აზროვნების მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია, 1903 წლიდან არსებობს“ (თხზ., ტ. 31, გვ. 9).

თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე პარტია მტკიცედ გამოვიდა რეაქციული ნაროდნიკული, ესერული და ბურჟუაზიული თეორიების წინააღმდეგ, რომლებიც უარყოფდნენ ხალხის მასების შემოქმედებითს როლს ისტორიაში. პარტია თავის მოღვაწეობაში ყოველთვის გამოდიოდა ხალხის მასების როგორც ისტორიის გადამწყვეტი ძალის როლის მარქსისტულ-ლენინური გაგებიდან, ეყრდნობოდა მშრომელთა რევოლუციურ აქტივობასა და ინიციატივას. ხალხის შემოქმედების უმრეტ წყაროებში იკრებს პარტია ახალ ძალებს, ახალ ენერგიას.

კომუნისტური პარტია დაუცხრომელ ბრძოლას ეწეოდა მარქსისტულ-ლენინური თეორიის სიწმინდისათვის, მარჯვნიდან და „მარცხნიდან“ რევიზიონისტებისა და ოპორტუნისტების წინააღმდეგ, რუსეთის მუშათა მოძრაობის შიგნით და საერთაშორისო ასპარეზზე დოგმატიკოსებისა და სექტანტების წინააღმდეგ, „ეკონომისტების“, მენშევიკების, ტროცკისტების წინააღმდეგ, ლიკვიდატორების, ცენტრისტების, ოტზოვისტების, შემარიგებლების, ნაციონალ-უკლონისტების წინააღმდეგ. ბოლშევიკების პარტია გაიზარდა, განმტკიცდა და გამოიწრთო ბრძოლაში უწინარეს ყოვლისა აშკარა ოპორტუნისტის, რევიზიონისტის, — მუშათა მოძრაობის შიგნით მთავარი მტრის წინააღმდეგ, აგრეთვე **„წვრილბურჟუაზიული რევოლუციურობის** წინააღმდეგ, რომელიც ანარქიზმს წაადგა ან ზოგ რაღაცეს სესხულობს მისგან, რომელიც ყოველსავე იმაში, რაც კი არსებითია, უხეკვს მტკიცე პროლეტარულ კლასობრივი ბრძოლის პირობებისა და მოთხოვნილებებისაგან“ (ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 31, გვ. 19). ბოლშევიკების მტკიცე პრინციპულობა განეყარელად არის დაკავშირებული ოსტატურ უნართან მჭიდროდ აკავშირებინონ მასების, ბრძოლისათვის რაზმავდნენ სულ ახალ სოციალურ ფენებსა და ჯგუფებს.

სკკპ მრავალტომიანი ისტორია მოწოდებულია ყოველმხრივ აჩვენოს, რომ რუსეთი არა შემთხვევით, არამედ კანონზომიერად გახდა ლენინიზმის სამშობლო. XX საუკუნის დამდეგს მთელი რიგი ისტორიული მიზეზების გამო მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა რუსეთში გადმოინაცვლა. ლენინის მიერ შექმნილი პარტია გახდა ყოველივე იმ საუკეთესოს კანონიერი მემკვიდრე, რაც მოგვცა რევოლუციურმა პროლეტარულმა მოძრაობამ მარქსისა და ენგელსის სოციოლოგიაში დასავლეთში და რევოლუციურ-დემოკრატიულმა მოძრაობამ რუსეთში.

ცნობილ სტატიაში, „რა მემკვიდრეობაზე ვამბობთ უარს?“ (1897 წ.) ვ. ი. ლენინმა დაგვანახვა, რომ რევოლუციური სოციალ-დემოკრატია საუკეთესო შემნახველია იმ პროგრესული იდეებისა, რომლებსაც იმუშავებდნენ წინათ რუსეთის მოწინავე ადამიანები. ამასთან ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მარქსისტები, პროლეტარული რევოლუციონერები მემკვიდრეობას ინახავენ არა ისე, როგორც არქივარიუსები ძველ ქაღალდს ინახავენ. ინახავდე მემკვიდრეობას — იმას როდი ნიშნავს, რომ სჯერდებოდე მემკვიდრეობას; უნდა მეფიოდე წინ, აამკარავებდე კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგობებს, უჩვენებდე პროლეტარიატს ბრძოლის უახლოეს ამოცანებსა და საბოლოო მიზნებს, იდგე თავისი დროის მოთხოვნათა დონეზე.

ბოლშევიზმის წარმოშობასა და განმტკიცებაში უდიდეს როლს ასრულებდნენ რუსეთის გმირი მუშათა კლასის პოლიტიკური განვითარების თავისებურებანი. განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის 1905-1907 წლების პირველ რევოლუციას, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის გენერალური რეპეტიცია გახდა და უკვე ინ პერიოდში ზღვრული სიცხადით დაგვანახვა, რომ „ველიკორუსმა ერმა **აგრეთვე** შექმნა რევოლუციური კლასი, **მანაც** დაამტკიცა, რომ მას უნარი შესწევს მისცეს კაცობრიობას თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის დიადი ნიმუშები...“ (ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 21, გვ. 112).

ისტორიულ მოვლენათა მსვლელობამ დაადასტურა ლენინის გენიალური განჭვრეტა იმის შესახებ, რომ რუსეთის მუშათა კლასის პოლიტიკური როლი განუზომლად უფრო მნიშვნელოვანი და დიდი აღმოჩნდება, ვიდრე მისი ზვედრითი წონა ქვეყნის მოსახლეობის შემადგენლობაში. მშრომელ გლეხობასთან მუშათა კლასის რევოლუციური კავშირის ლენინური იდეის განხორციელებამ, ამ კავშირში პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლით, გამოიწვია ის, რომ რუსეთის მუშათა კლასი ხალხის უმრავლესობის ნების გამომხატველი გახდა, მოსახლეობის შეგნებული უმრავლესობის მხარდაჭერას ეყრდნობოდა. შრომაში სკკპ ისტორიის შესახებ საჭიროა ნაჩვენები იქნას მარქსისტული პრესის განსაკუთრებული როლი პარტიის მომზადებასა და შექმნაში. ამ მხრივ ცნობილი ლენინური „ისკრის“ როლი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ბოლშევიკურ გაზეთებსა და ჟურნალებს პარტიის მოღვაწეობის მომდევნო პერიოდშიც. მეტადრე დიდი იყო გაზეთ „პრავდის“ მნიშვნელობა. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ 1912-1913 წლებში, როცა იშვა „პრავდა“, მას ზუსტეს უმაგრებდა ათეულ და ასეულ ათასობით მუშა. ბოლშევიკური „პრავდისტული“ ხაზს მხარს უჭერდა შეგნებული მუშათა 4/5. ხოლო 1917 წლის ოქტომბრისათვის „პრავდა“ უკვე გამოხატავდა იმ ფაქტს, რომ ბოლშევიკების პარტიას მიჰყვებოდა პროლეტარიატისა და შეგნებული გლეხობის **უმრავლესობა.** ვლადიმერ ილიას-ძე ხაზგასმით აღნიშნავდა საზოგადოებრივი განვითარების უდიდეს დაჩქარებას ბრძოლაში ახალ ასეულ მილიონობით ადამიანთა ჩაბმასთან დაკავშირებით.

სკკპ ისტორიის მრავალტომიანი შრომა მოწოდებულია ღრმად და ყოველმხრივ აჩვენოს მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა — ყველაზე ღრმა რევოლუციისა რევოლუციურ გადატრიალებათაგან, როგორიც კი ოდესმე ახსოვს კაცობრობას. 1917 წლის ოქტომბერში რუსეთის მუშათა კლასმა უღალატებელ გლეხობასთან კავშირში დაამხო კაპიტალისტთა და მემამულეთა ხელისუფლება. დაარსა მსოფლიოში პირველი სახელმწიფო მშრომელებისა — საბჭოთა რესპუბლიკა, დასაბამი მისცა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში. ოქტომბრის რევოლუცია მოამზადა რუსეთის მუშათა კლასისა და მისი ავანგარდის — ლენინის ხელმძღვანელობით ბოლშევიკების პარტიის ათეული წლების რევოლუციურმა ბრძოლამ. ოქტომბრის რევოლუცია გამოხატავდა მშრომელი მასების მისწრაფებას სამართლიანი საზოგადოებრივი წყობილებისაკენ, ეყრდნობოდა ობიექტურ ისტორიულ პირობებს. მისი გამარჯვება შესაძლელი გახდა იმის მეოხებით, რომ მას ხელმძღვანელობდა მილიონობით მუშებთან და რეკოლუციურად განწყობილ გლეხებთან მჭიდროდ დაკავშირებული ლენინური პარტია. დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ იხსნა ჩვენი ქვეყანა ეროვნული კატასტროფისაგან, იმპერიალისტური სახელმწიფოების მიერ გაძარცვისაგან, გამოიყვანა იგი პროგრესისა და აყვავების გზაზე.

პარტიის ისტორიის გაშუქებას ოქტომბრისშემდგომ პერიოდში, როცა პარტია მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ხელმძღვანელი და წარმართველი ძალა გახდა, მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს. სათავეში რომ ჩაუდგა ხელისუფლებას, ლენინურმა პარტიამ იკისრა ისტორიული პასუხისმგებლობა საბჭოთა ქვეყნის ბედისათვის, სოციალიზმის ბედისათვის, წაიყვანა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა სოციალისტური მშენებლობის გაფაკალავი გზებით.

სკკპ მრავალტომიანი ისტორიის შემდგენლების წინაშე დგას ამოცანა — აჩვენონ, რომ კაცობრობის გადასვლა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე, რაც დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დაიწყო, ხორციელდება არა თვითდინებით, არამედ ხალხის მასების ტიტანური ბრძოლისა და შრომის შედეგად, მასებისა, რომლებსაც მარქსისტულ-ლენინური პარტიები მიეძღვიან. ისტორიას ჯერ კიდევ არ ახსოვს ისეთ ძნელი და რთული ამოცანა, როგორიც იყო ასეთი გადასვლის განხორციელება ჩვენს ქვეყანაში. ცნობილია, რომ სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობა არ წარმოადგენდა მთლიანად ტრიუმფულ სვლას, არამედ დაკავშირებული იყო უდიდეს სიძნელეებთან. ძველი სამყაროს მთელი ძალები ისწრაფოდნენ გაეძნელებინათ საბჭოთა ხალხის წინსვლა სოციალიზმისაკენ. კაპიტალიზმის მომხრენი და ხელშემწყობნი — II ინტერნაციონალის მოღვაწენი, მენშევიკები და სხვა ოპორტუნისტები ამტკიცებდნენ, რომ ჩვენი ქვეყნის ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობა გადაულახავი დაბრკოლებაა სსრ კავშირში სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის. ტროცკისტი კაპიტულანტები „მემარცხენე“ ფაშაზოლოგიის საფარით ცდილობდნენ იდეურად განეიარაღებინათ მუშათა კლასი, ამტკიცებდნენ, რომ სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვება შეუძლებელია, რომ ამისათვის საჭიროა რევოლუცია ეკონომიურად ყველაზე მეტად განვითარებულ მთელ რიგ ქვეყნებში და ამ ქვეყნების გამარჯვებული პროლეტარიატის პირდაპირი სახელმწიფოებრივი დახმარება.

განუხრელად მიჰყვება რა ლენინის მიერ დასახულ გზას, საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ ჩვენი სამშობლოს მშრომელნი შეაიარაღა სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის ურყევი რწმენით. პარტიამ, როგორც ნათქვამია სკკპ პროგრამაში, დაიცვა სოციალისტური საზოგადოების აშენების ლენინური გეგმა „ურწმენობისა და კაპიტულანტების წინააღმდეგ, ტროცკისტების, მემარჯვენე ოპორტუნისტების, ნაციონალ-უკლონისტებისა და სხვა მტრული ჯგუფების წინააღმდეგ მუდამ ბრძოლაში. მან დარაზმა მთელი საბჭოთა ხალხი ლენინურ წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის საბრძოლველად“.

ჩვენი ქვეყნის საუკეთესოებრივი ჩამორჩენილობის წარმატებით დაძლევა და ერთი თაობის სიცოცხლის განმავლობაში მისი გადაქცევა ძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ, რომელსაც მოწინავე სოციალისტური სოფლის მეურნეობა აქვს, სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების უპირატესობათა ყველაზე დამაჯერებელი დადასტურებაა. გამარჯვებული სოციალიზმისა და მშენებლობის პროცესში მყოფი კომუნიზმის დიადი „მაგალითის ძალის“ მძლავრი ზემოქმედება, რომელსაც გენიალურად განჭვრეტდა ვ. ი. ლენინი, სულ უფრო უცილობელი ხდება.

შემდგენლებმა საფუძვლიანად უნდა განაზოგადონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გამოცდილება სოციალისტური მშენებლობის ურთულესი საკითხების დამუშავებისა და პრაქტიკულად განხორციელების დარგში, უწინარეს ყოვლისა ისეთი საკითხებისა, როგორიც არის: სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცება და განვითარება; მუშათა კლასის დიქტატურის მნიშვნელობა სოციალიზმის გამარჯვებისათვის, პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს გადაზრდა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ, სოციალისტური დემოკრატიზმის განვითარება; მუშათა კლასის კავშირის განმტკიცება მშრომელ გლეხობასთან და მუშათა კლასის წამყვანი როლი ამ კავშირში; ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელება და სოციალისტურ ერთა თანამეგობრობის შექმნა; წინათ ჩამორჩენილი ხალხების გადასვლა სოციალიზმზე, განვითარების კაპიტალისტურ სტადიის გვერდის აქლით: ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია; ექსპლოატაციის სოფლის კლასების ლიკვიდაცია და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობა; კულტურული რევოლუციის განხორციელება და კადრების მომზადება სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში.

მრავალტომიანმა შრომამ უნდა გააშუქოს ისტორიული მნიშვნელობა საბჭოთა ხალხის გამარჯვებისა სამამეცო ომში ფაშისტი აგრესორების წინააღმდეგ. ეს იყო კანონზომიერი გამარჯვება, რომელიც ეყრდნობოდა სოციალისტური წყობილების უპირატესობებს, საბჭოთა ადამიანების მასობრივ გმირობას, რომლებსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობდა და აღფრთოვანებდა. დიდმა სამამეცო ომმა განსაკუთრებით თვალნათლივ გვიჩვენა, პეშმარიტად რა აუარაკელი სულიერი და მატერიალური ძალები მოეპოვება იმ ხალხს, რომელმაც სოციალისტური საზოგადოება აიშენა. ხალხის შეკავშირება კომუნისტური პარტიის გარშემო, მისი მზადყოფნა გაიღოს ყოველი შსხვერპლი და აიტანოს ყოველნაირი გაჭირვება, რათა დაიცვას თავისი სოციალისტური მონაპოვარნი, ამ ომში გამარჯვების გადამწყვეტი პირობა იყო.

მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმზე სოციალიზმის გამარჯვების უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნა. სოციალიზმი ახლა მსოფლიო განვითარების გადამწყვეტ ფაქტორად იქცევა. იზრდება მსოფლიო სოციალისტური სისტემის ყოველმხრივი ზემოქმედება ყველა ქვეყნის ხალხებზე, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე, რომლის მძლავრი დარტყმებით ფაქტიურად დაიშალა იმპერიალიზმის კოლონიური სისტემა. განთავისუფლებული ხალხებისათვის ახალ პიროებში გაჩნდა განვითარების არაკაპიტალისტური გზის რეალური შესაძლებლობა.

უზრუნველყო რა სსრ კავშირში სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება, კომუნისტურმა პარტიამ გამოაცხადა ჩვენი ქვეყნის შესვლა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში. მან კაცობრობას მისცა პირველი სოციალისტური საზოგადოების ამშენების კონკრეტული მაგალითიც. საბჭოთა ხალხის გამოცდილებით შემოწმებული მეცნიერება სოციალიზმის მშენებლობის შესახებ. ამ გამოცდილების მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ჩვენება სკკპ მრავალტომიანი ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

III.

ყოველმხრივ უნდა გაშუქდეს სკკპ ისტორია ომისშემდგომი დროისა — განსაკუთრებით XX და XXII ყრილობების შემდგომი პერიოდისა — როგორც პარტიის ისტორიაში გარდატეხის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდისა. საჭიროა ნაჩვენები იყოს დიადი ისტორიული მნიშვნელობა სკკპ XX ყრილობისა, რომელმაც დასაბამი მისცა ახალ ეტაპს ჩვენი პარტიის ისტორიაში, ნაჩვენები იყოს მის გადაწყვეტილებათა მნიშვნელობა არა მარტო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისათვის, არამედ მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისთვისაც.

„სკკპ XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს არა მარტო უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობისათვის, არამედ მათ დასაბამიც მისცეს ახალ ეტაპს საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში, ხელი შეუწყეს მის შემდგომ განვითარებას მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე“, — აღნიშნულია კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის განცხადებაში (1960 წლის ნოემბერი). ყრილობამ მეცნიერულად განაზოგადა თანამედროვე ისტორიული ვითარების ახალი მოვლენები და მოგვცა მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი განვითარების ნიმუში, ახალი დასკვნებითა და დებულებებით გაამდიდრა, რევოლუციური თეორია. ყოველმა გვიჩვენა, რომ პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით არა მარტო კოლექტიური პოლიტიკური და ორგანიზაციული ცენტრია, არამედ მარქსისტული თეორიული აზრის განვითარების კოლექტიური ცენტრიც არის. XX ყრილობის პოლიტიკური კურსი, რომელიც ნაკონახეცია თვით ცხოვრებით და გამსჭვალულია ლენინური რევოლუციური შემოქმედების სულისკვეთებთ, მთელი საბჭოთა ხალხის საქმე გახდა.

სკკპ ისტორიის მრავალტომიან შრომაში უნდა გაშუქდეს პარტიის მოღვაწეობა XX და XXII ყრილობებს შუა პერიოდში პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპების აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის პარტიისა და სახელმწიფოს ყველა რგოლში. სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობისათვის, მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიის მიერ სტალინის პიროვნების კულტის, სტალინის მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების აშკარა და გაბედულ დაგმობას, პიროვნების კულტის მავნე შედეგების დაძლევას და ისეთი ღონისძიებების მტკიცედ გატარებას, რომლებიც მომავალში მთლიანად გამორიცხავდნენ ასეთი შეცდომებისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გამეორებას. „XX ყრილობამ, — ამბობდა ნ. ს. ხრუშჩოვი, — აღმოფხვრა რა პიროვნების კულტის პერიოდის მთელი ნაშთები, ახალი ფურცელი გადაშალა ჩვენი პარტიის ისტორიაში, კეთილნაყოფიერი გაფენა მოახდინა ჩვენი ქვეყნის, მთელი მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის განვითარებაზე“.

პიროვნების კულტი თავისი არსით უაღრესად უცხოა მარქსიზმ-ლენინიზმისათვის, სოციალიზმის ბუნებისათვის, საბჭოთა წყობილების ბუნებისათვის. საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მიუხედავად პიროვნების კულტისა, უდიდეს წარმატებებს მიაღწია, ცხადყო სოციალიზმის მძლავრი ძალა. პარტიის მიერ აღზრდილი კადრები იბრძოდნენ სოციალიზმის მშენებლობაში ლენინური ხაზის გატარებისათვის, ლენინის ანდერძის საფუძველზე პარტიის რიგების განმტკიცებისათვის. პიროვნების კულტით გამოწვეული დამატებითი სიძნელეებისა და მსხვერპლის მიუხედავად, საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კაპიტალისტური გარემოცვის ურთულეს ვითარებაში გადაწყვიტა სოციალისტური ინდუსტრიის შექმნის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის, კულტურული რევოლუციის მოხდენის დიადი ამოცანები. საბჭოთა სოციალისტური წყობილების ძალამ და სოციოლისუნარიანობამ, ვ. ი. ლენინის დიადი იდეებისადმი პარტიისა და ხალხის ერთგულებამ სსრ კავშირისათვის უზრუნველყო ძლიერება და საერთაშორისო ავტორიტეტი.

პარტიისა და სახელმწიფოს ყველა რგოლში პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპების აღდგენამ და შემდგომმა განვითარებამ აამაღლა პარტიის ბრძოლისუნარიანობა, ფართო გასაქანი მისცა პარტიისა და ხალხის შემოქმედებითი ძალების და ინიციატივის განვითარებას, დაჩქარა ჩვენი ქვეყნის წინსვლა კომუნიზმისაკენ, კიდევ უფრო განამტკიცა პარტიის კავშირი მასებთან.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისათვის და მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ მხიარულებულ და იდეურად განადგურებულ იქნა მოლოტოვის, კაგანოვიჩის, მალენკოვის, ბულგანინის, პერვუხინის, საბუროვის და მათთან მიმხრობილი შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფი, რომელიც გამოვიდა XX ყრილობის ლენინური კურსის წინააღმდეგ, წინააღმდეგობას უწევდა იმ ღონისძიებათა განხორციელებას, რომელთა მიზანი იყო პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევა, ცდილობდა დაეტოვებინა ხელმძღვანელობის სახელგატეხილი ფორმები და მეთოდები, შეეფერხებინა საბჭოთა საზოგადოების განვითარება კომუნიზმისაკენ, ანტიპარტიული ჯგუფის ფრაქციული ბრძოლის დროს სეროიოზული შეცდომები დაუშვა კ. ე. ვოროშილოვმა, რომელიც ამ ჯგუფთან ერთად პარტიის ლენინური კურსის წინააღმდეგ გამოვიდა. ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის (1957 წელი) მსელელობაში კ. ე. ვოროშილოვმა აღიარა თავისი შეცდომები და დაგმო ანტიპარტიული ჯგუფის ფრაქციული მოქმედება.

პიროვნების კულტმა დიდი ზიანი მიაყენა საზოგადოებრივ მეცნიერებებს, სკკპ ისტორიას. საზოგადოებრივ მეცნიერებებსა და იდეოლოგიურ მუშაობას იყენებდნენ სტალინის პიროვნების განსადიდებლად, მის მოღვაწეობას ალამაზებდნენ და ხოტბას ასხამდნენ, მის სერიოზულ თეორიულ და პოლიტიკურ შეცდომებს, მერყეობას კი დუმილით უვლიდნენ გვერდს.

გადაჭრით ამხილებს რა პიროვნების კულტს როგორც უცხოს მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებისათვის, კომუნისტური პარტია აღიარებს ხელმძღვანელთა დიდმნიშვნელოვან როლს კომუნისტურ და მუშათა მოძრაობაში, მათი ავტორიტეტის დაცვისა და განმტკიცების საჭიროებას. მარქსიზმ-ლენინიზმს დაუშვებლად მიაჩნია პიროვნების კულტი არევეა იმ ხელმძღვანელთა დამსახურებული ავტორიტეტისა, რომლებიც სწორად გამოხატავენ ბრძოლის ინტერესებისათვის, ეყრდნობიან კოლექტივს, მასების რევოლუციურ პრაქტიკულ გამოცდილებას. „მარქსისტებს, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — არ შეუძლიათ იდგნენ ინტელიგენტ-რადიკალის ჩვეულებრივ თვალსაზრისზე მისი ვიფიმდა რევოლუციური განყენებული დებულებით: „არავითარი ავტორიტეტი“. არა. მუშათა კლასს, რომელიც მთელ მსოფლიოში აწარმოებს ძნელსა და შეუპოვარ ბრძოლას სრული განთავისუფლებისათვის, ავტორიტეტები ესაჭიროება...“ (თხზ., ტომი 11, გვ. 497).

ხელმძღვანელთა ავტორიტეტი განუყოფელია პარტიის ავტორიტეტისაგან, კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპებისაგან. პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენამ და შემდგომმა განვითარებამ საშუალება მისცა ეფექტურად ებრძოლა ეროვნული ეგოიზმი, ადგილობრივი ინიციატივა, ადგილობრივ ინიციატივა, ადგილობრივ ინიციატივა, ადგილობრივ

ᲛᲝᲓᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲐᲙᲐᲓᲘ

ᲡᲐᲜᲘᲛᲣᲨᲝᲓ ᲩᲐᲒᲐᲢᲐᲠᲝᲗ ᲛᲘᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡᲨᲘ

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ სასწავლებლები ამჟამად მეტად პასუხსაგები ამოცანის წინაშე დგანან. ამ დღეებში დაიწყო მისაღები გამოცდები მთელი რიგი უმაღლესი სასწავლებლების დაუსწრებელ განყოფილებებზე. ივლისში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ჩაატარებს მისაღებ გამოცდებს დაუსწრებელ და საღამოს განყოფილებებზე, ხოლო აგვისტოში ჩატარდება მისაღები გამოცდები უმაღლესი სასწავლებლების დღის განყოფილებებზე, აგრეთვე საღამოს განყოფილებებზე.

მათ კი დახმარება და გულისხმიერი შერჩევა სჭირდება. ამ მიზნით ბოლო წლებში სულ უფრო ფართოვდება უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა მოსამზადებელი კურსები იმ პირთათვის, რომლებიც მუშაობენ ან დემობილიზებული არიან არმიიდან. კურსები შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით შეუძლიათ მოაწყონ განათლების ორგანოებმა, სასწავლო დაწესებულებებმა, კურსები შეიძლება მოეწყოს მსხვილ სამრეწველო საწარმოებთან, კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან.

1960-1961 სასწავლო წელს კომიტეტის სისტემის უმაღლეს სასწავლებლებთან გახსნილ მოსამზადებელ კურსებზე სწავლობდა 2.353 ახალგაზრდა, ხოლო 1961-1962 სასწავლო წელს სწავლობს— 3.000-ზე მეტი.

მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ წელს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებია 12.510 კაცი, მოსამზადებელი კურსების კონტინგენტი სრულიად არასაკმარისია, ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებელი, აგრეთვე განათლების ადგილობრივი ორგანოები გაუმართლებელ გულგრილობას იჩენენ ამ დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საქმისადმი, არ იღებენ საჭირო ზომებს კურსების

> **□ წელს რესპუბლიკის 18 უმაღლეს სასწავლებელში სულ მიღებული იქნება 12.510 კაცი. აქედან დღის განყოფილებაზე — 4.520, საღამოს განყოფილებაზე — 1.825, ხოლო დაუსწრებელ განყოფილებაზე — 6.165 კაცი.**
>
> **□ წელს უმაღლესი სასწავლებლების დღის განყოფილებებზე მისაღებთა 80 პროცენტი გამოყოფილია 2 და მეტი წლის საწარმოო სტაჟის მქონე და არმიიდან დემობილიზებული ახალგაზრდებისათვის.**

გახსნისათვის, რის გამო ახალგაზრდობის დიდ ნაწილს საშუალება არა აქვს წარმოებისგან მოუწყვეტლივ ემზადოს უმაღლეს სასწავლებელში შესვლისათვის. ესეც იმის ერთ-ერთი მიზეზია, რომ საწარმოო სტაჟის მქონე ახალგაზრდები მისაღებ გამოცდებზე ჯერ კიდევ ვერ ამჟღავნებენ სათანადო მომზადებას და ირჩევენ უმაღლესი სასწავლებლის გარეთ. მაგალითად, 1961-1962 სასწავლო წელს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში განცხადება შემოტანა 2 და მეტი წლის საწარმოო სტაჟის მქონე და საბჭოთა არმიიდან დემობილიზებულმა 8.836 ახალგაზრდამ, ამათგან ჩაირიცხა მხოლოდ 30 პროცენტზე ნაკლები.

საერთოდ გასულ წელს, წინა 1960-1961 სასწავლო წელთან შედარებით, გაიზარდა უმაღლესი სასწავლებლების დღის განყოფილებებზე ჩარიცხულნი საწარმოო სტაჟის მქონე პირთა რაოდენობა და მან მიაღწია ჩარიცხულთა 62 პროცენტს. ამ მხრივ კარგი მაჩვენებლები ჰქონდათ სასოფლო-სამეურნეო, ზოოვეტერინარულ და სამედიცინო ინსტიტუტებს. მაგრამ მთელ რიგ ინსტიტუტებში ეს პრობლემა ჯერ კიდევ არ გადაჭრილა, რასაც წელს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ცნობილია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 18 სექტემბრის დადგენილება, რომელიც სამრეწველო საწარმოებს, სამშენებლო და სავაჭრო ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სამეურნეო ანგარიშზე მყოფ სხვა ორგანიზაციებს უფლებას აძლევს მიაგზავნონ 2 წლის საწარმოო სტაჟის მქონე წარმოების მოწინავე ახალგაზრდები უმაღლეს სასწავლებლებში. ამ დადგენილებით სწავლის პერიოდში აღინიშნულ პირებს სტიპენდია უნდა გადაუხადონ ლიმიტის გამეცმა ორგანიზაციებმა, ხოლო უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოვალენებული პირი სამუშაოდ ბრუნდება იმავე საწარმოში ან ორგანიზაციაში, რომელმაც მოავლინა იგი უმაღლეს სასწავლებელში.

უკვე ორი წელია, რაც ეს დადგენილება ხორციელდება პრაქტიკულად, მაგრამ ნაკლოვანებები ამ საქმეში მაინც გვაქვს.

1961-1962 სასწავლო წელს კომიტეტის სისტემის უმაღლეს სასწავლებლებში მიღება იწარმოებს ახალ ტექნიკურ სასწავლებლებში გასაგზავნი კანდიდატურების შერჩევას. წელს ამ უმაღლეს სასწავლებლებში გამოყოფილი გვაქვს 30 ადგილი ისეთ სპეციალობებზე, რომლებშიც ჩვენს რესპუბლიკაში ვერ ვამზადებთ კადრებს. შარშან იმის გამო, რომ ვერ შეირჩა სათანადოდ მომზადებული ახალგაზრდები, დაკარგეთ გამოყოფილი ადგილების ნაწილი. წელს ეს აღარ უნდა გამეორდეს.

მისაღები კონტინგენტის შერჩევისათვის წინასწარ მოსამზადებელი მუშაობის არაორგანიზებულობა თავს იჩენს მისაღები გამოცდების პერიოდში. ჯერ კიდევ არ წარმოებს სათანადო მუშაობა უმაღლესი სასწავლებლების მხრივ ახალგაზრდობაში მათემატიკისა და ფიზიკის მეცნიერებათა პოპულარიზაციის მიზნით. არ ხდება მათემატიკური ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების გამოვლინება და არ წარმოებს მათთან მუშაობა. ამის შედეგია, რომ წლების მანძილზე უმაღლესი სასწავლებლების ფიზიკა-მათემატიკის სპეციალობებზე შედარებით დაბალია კონკურსი, ამასთანავე ბევრი ახალგაზრდა იღებს არადამაკმაყოფილებელ შეფასებას ამ საგნებში.

პედაგოგიური ინსტიტუტების დაუსწრებელი განყოფილებების მათემატიკის სპეციალობაზე წელსაც დაბალია კონკურსი, მაგალითად, პუშკინის სახელობის პედინსტიტუტში 50 ადგილზე შემოტანილია 63 განცხადება, ქუთაისის პედინსტიტუტში — 50 ადგილზე 54 განცხადება, ბათუმის პედინსტიტუტში—50 ადგილზე 55 განცხადება, სამხრეთ ოსეთის პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული სექტორის 25 ადგილზე—28 განცხადება, ხოლო რუსული სექტორის 25 ადგილზე—22 განცხადება.

წელს მიღების წესები ითვალისწინებს მთელ რიგ სიახლეებს. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ წელს ყველა უმაღლეს სასწავლებლებში დღის განყოფილებებზე შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ ერთ-ერთ უცხო ენაში; დაუსწრებელ განყოფილებაზე კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან ის პირები, რომლებსაც აქვთ საწარმოო მუშაობის ორი წლის სტაჟი უმაღლეს სასწავლებლებში შერჩეულ ან მის მონათესავე სპეციალობაზე.

კომიტეტის სისტემის უმაღლეს სასწავლებლებში მიღება იწარმოებს ახალ სპეციალობებზე: ქართული ენა, ლიტერატურა და მუსიკა, რუსული ენა, ლიტერატურა და მუსიკა—თბილისის პუშკინის სახელობის პედინსტიტუტში; ქართული ენა, ლიტერატურა და მუსიკა—ქუთაისის პედინსტიტუტში; ინგლისური ენა და მუსიკა, ფრანგული ენა და მუსიკა, გერმანული ენა და მუსიკა, ინგლისური ენა და სკოლა-ინტერნატის აღმზრდელი, გერმანული ენა და სკოლა-ინტერნატის აღმზრდელი, ფრანგული ენა და სკოლა-ინტერნატის აღმზრდელი — თბილისის უცხო ენების პედაგოგიურ ინსტიტუტში. ამასთან წელს პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში იწარმოებს მიღება სპეციალობაზე—ზოგადტექნიკური დისციპლინები და შრომა.

მისაღები გამოცდების საქმიანად და ობიექტურად ჩატარებაში დიდი მნიშვნელობა აქვს მიმღები და საგნობრივი კომისიების სწორად დაკომპლექტებას. შარშან ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში ადგილი ჰქონდა შემთხვევას, როცა მიმღები კომისიის მდივანი კარგად არ იცნობდა მიღების წესებს; ასეთი მდგომარეობა ყოვლად შეუწყნარებელია, რადგან შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს კონტინგენტის შერჩევის საქმეს. იყო შემთხვევები, როცა მიმღები კომისიები სწორად ვერ ადგენდნენ სტაჟს. წელს მიღების წესებში უკვე არის ფორმულირებული მუხლი სტაჟის განსაზღვრის შესახებ.

უნდა აღიკვეთოს დაუსწრებელ განყოფილებებზე იმ პირთა მიღება, რომლებიც არ მუშაობენ. ადგილი აქვს მისაღები გამოცდების დამთავრების შემდეგ დაუსწრებელ განყოფილებაზე იმ პირთა ჩარიცხვას, რომლებიც გამოცდებს დღის განყოფილებაზე აბარებდნენ. მით უფრო გაუმართლებელი და დასაგმობია დასწრებული განყოფილების სტუდენტთა გადარიცხვა დაუსწრებელ განყოფილებაზე მათი აკადემიური მოუმზადებლობის ან სხვა მიტომით. ბოლო უნდა მოეღოს დაუსწრებელი განყოფილების ამგვარ შეუფასებლობას.

წელს არ უნდა დავუშვათ ერთი სპეციალობიდან მეორეზე ჩარიცხვის არცერთი შემთხვევა.

წინა წლებში ივნისში რამდენიმე შემთხვევა, როცა აბიტურიენტები ადგენდნენ მუშაობის სტაჟის დამადასტურებელ ყალბ ცნობებს, რისთვისაც ისინი მკაცრად ისჯებოდნენ უმაღლესი სასწავლებლიდან გარიცხვით. წელსაც, ჩარიცხვის შემდეგ, უმაღლესმა სასწავლებლებმა გულდასმით უნდა შეამოწმონ წარდგენილი ცნობების სისწორე და სიყალბის აღმოჩენისას მიიღონ გადამჭრელი ზომები.

გამოცდების ნორმალურად წარმართვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აბიტურიენტისადმი მართებულ, პედაგოგიურ მიდგომას. გამოცდები უნდა ტარდებოდეს მშვიდ ვითარებაში, სრულიად დაუძაბავად, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ თითქოს ვასუსტებდეთ მოთხოვნას. განსაკუთრებით უნდა ვებრძოლოთ ეგრეთწოდებულ „შპარგალკებს“, რაც ასე ფართოდ გავრცელდა.

საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ის არასწორი, დასაგმობი ტენდენციაც, რომელიც თავს იჩენს მისაღები გამოცდების მიმდინარეობისას უმაღლეს სასწავლებლების წინ მშრომელთა და ნათესავთა ზედმეტ თავმოყრასა და არასასურველ მითქმა-მოთქმაში. ზოგიერთი გულუბრყვილო ადამიანი ეძიებენ გაურკვეველი პროფესიის მქონე საქმოსანთა გავლენის ქვეშ, რასაც ხშირად არასასურველი შედეგი მოჰყვება ხოლმე და სახელს უტეხს უმაღლესი სასწავლებლების მუშაკებს, რომლებიც ძირითადად პრინციპულად და კეთილსინდისიერად უდგებიან ისეთ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კამპანიის ჩატარებას, როგორიც არის მისაღები გამოცდები.

უმაღლეს სასწავლებლებში მოდის ახალი ნაკადი.

ღირსეულად დავხვდეთ მას.

ნ. ᲭᲐᲮᲠᲐᲫᲘᲐ,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

ᲐᲠ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲛᲝᲧᲕᲠᲘᲡᲐ...

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘᲐ

ᲝᲠᲘ წლის წინათ, ზაფხულის ერთ ჩვეულებრივ თბილ დღეს ვარშაველებმა გაზეთ „ტრიბუნა ლიუდუს“ ფურცლებზე წაიკითხეს არც თუ ვრცელი წერილი, ილუსტრირებული ორი ფოტოსურათით. ამ წერილს ერქვა „შეხვედრის სიხარული“. მას ხელს აწერდა თბილისელი ექიმი ლევან პაპიძე. წერილთან დართული ჰქონდა რედაქციის შენიშვნაც.

იმ დღეს ალბათ ბევრმა ვარშაველმა პირველად გაიგო თანამოქალაქეთა ვლადიმერ შმუდინსკის, მაშა ნოვიცკას, ლონგინოზ პაევსკის, პეტრე ვუიციკის, პენდრიკ ვიებიცკის, ანტონ იანჩიკის ოჯახების გვარები. გვარები უბრალო პოლონელი მოქალაქეებისა, რომლებმაც მშობლიური, მიწის ფაშისტური ოკუპაციის მძიმე უღმს მეორე სიცოცხლე აჩუქეს გერმანელთა ტყვეობიდან გაქცეულ ქართველ მებრძოლს.

და ვინ იცოდა, რომ მაშინ ეს შეხვედრა ცხოვრების უმნიშვნელო ქრონიკა როდი იყო. ეს ცხოვრების დიდი ეპიზოდია, სულიერი ტრაგიზმით აღსავსე; ნაწამები, თავისუფლებას მოწყურებული კაცის შეხვედრა დიდ ადამიანურ გრძნობათა წყაროსთან.

ამ ამბის მთელი ისტორია ახლაც მხოლოდ რამდენიმე პოლონურმა და ქართულმა ოჯახმა იცის.

იგი ასე დაიწყო...

ᲝᲛᲘᲡ ხანძარი ბუგავდა ქალაქებს, სოფლებს. სიკვდილი, შიმშილი, შიში დაძრწოდა მიწაზე. ომისდროინდელ თამაშას ახსოვს, რა უკუღმართი იყო ფრონტის ბედი. ფაშისტთა ურდოების მოულოდნელმა თავდასხმამ იძულებული გაგვხადა დროებით უკან დაგვეხია. ჰოდ, ორმოცდაორის მაისში მოხდა ისე, რომ ვოიკოვოს რაიონში, სამხედრო ნაწილი, რომელშიც ლევან პაპიძე ექიმად მსახურობდა, გერმანელთა ალყაში აღმოჩნდა. სცადეს გარღვევა... უშედეგოდ, რას გაწყობდნენ, როდესაც დღითიდღე ილეოდა ტყვია-წამლის მარაგი. შველა კი არსაიდან ჩანდა. მაინც იბრძოდნენ. საბელზე მხოლოდ ოცნება დარჩათ. წყალი რა არის, ისიც არ ჰქონდათ, ცხენი და ადამიანი ერთად სვამდნენ ტალახიან წყალს ჩექმის ნაჭუსლარიდან. მაინც უმკლავდებოდნენ... მხოლოდ მეათე დღეს იძალა თავით ფეხთამდე შეიარაღებულმა მტერმა და...

...ტყვეთა კოლონა ლასლასით მიდიოდა. შეშლილივით ღრიალებდა თვალებგადმოკარკლული რუხმუნდირიანი გერმანელი ოფიცერი და ავტომატს ულერებდა დაკრილ ტყვეებს, ზოგიერთი სამუდამოდ ჩამორჩა კოლონას. მათ ხოცავდნენ. კაცმა არ იცოდა, რისთვის. ყოველი ხეკის, ორმოს, ღელის დანახვაზე შიშის ურუანტელი უვლიდათ. ასეთ ადგილებში უსწორდებოდნენ, თუ ვინმე წაიბორძიკებდა. საკუთარი ჩრდილის დანახვაზეც კი კრთოდნენ. ასეა ყოველთვის, როდესაც არ იცი, საიდან რა მოგელის.

რამდენი დღე დაჰყვეს გზაში, თვითონაც არ იცოდნენ. გზას განაგრძობდნენ ეშლილნითაც. ფეოდოსია, კიროვოგრადი. რკინიგზის ერთ სადგურში ფაურულად დანებიც გადასცეს. გაქცევაზე ფიქრმა იმატა. გადაწყვიტეს კიდევაც. დიდი ვაივაგლახით, წვალებით რკინის სალტეებით შეკრული ვაგონის კედელში ხვრელიც გამოჭრეს. შეპეტოვკასთან გაქცევა სცადეს, მაგრამ ამაოდ. გაუგეს. ორი ტყვე შეეწირა ამ განზრახვას.

ლევან პაპიძეს თავისუფლებაზე ფიქრი მოსვენებას არ ეძლეოდა. იგი ხელსაყრელ მომენტს ეძებდა.

გადიოდა კვირეები, თვეები... ტყვეთა ბანაკი როვნოში, შემდეგ ვლადიმირ-ვოლინსკში.

ფრონტის ამბავს ანა სად გაიგებდნენ. ეს ბედნიერება მხოლოდ ბრესტში ხვდათ, სადაც ბანაკში გაზეთების შეტანას ახერხებდნენ. აქ გაიგეს, რომ ფრონტი ახლოვდებოდა. ხმაც მოვიდა —მალე კოვპაკი ამ არემარეში გამოჩნდება და გაგათავისუფლებთო.

არ დასცალდათ. ბანაკი ამყარეს და ვარშავის მიმართულებით დასძრეს. იცოდნენ, რომ მათთან ერთად ფრონტის ხაზიც მოიწევდა. პარტიზანებმა თავდასხმები გააზშირეს, რამდენიმე ტყვე გაიტაცეს და მოსვენება დაუკარგეს გერმანელებს, რომლებმაც ზურგშიც მახვილის მოღერება იგრძნეს.

ტყვეებს აფრთხილებენ, აშინებენ არ გაბედონ გაქცევა, რადგან პოლონელები საბჭოთა მებრძოლებს ცოცხალს არ გაუშვებენო. მაგრამ ამას როგორ დაიჯერებდნენ, როდესაც აგერ ლოძის მახლობლად სასაკლაოს ტერიტორიაზე დამწყვდეულ ტყვეებთან თითქმის ყოველდღე შემოიპარება ვლადიმერ შმუდინსკი და ხან პური მოაქვს, ხან ორცხობილა. ბანაკიდან გაქცევას და პარტიზანებთან მიაღწევასაც კი ჰპირდებათ ეს გულკეთილი პოლონელი. განა მან პირველმა არ შეატყობინა პაპიძის ოჯახს ლევანის ამბავი, რომელიც, ალბათ უკვე გამოტირებული ყავდათ.

ორმოცდასამმა წელში გატეხა გერმანული სამხედრო მანქანა. საბჭოთა არმიის დარტყმებმა სვასტიკიან ჯალათებს პირი დასავლეთისაკენ აბრუნებინა. პარტიზანებმა ოკუპირებული პოლონეთის მიწაზე ბრძოლა გააჯაჭეს.

ორმოცდათხის იანვარმაც მოატანა. პიტლერელები ჩქარობენ გერმანიაში გარეკონ ტყვეები.

ᲗᲐᲠᲨᲐᲕᲘᲡᲐᲙᲔᲜ მიმავალთ პოლონეთის პატარა სოფელი იაბლონა უნდა გავლილთ. ერთ ფართო ეზოზე რომ გავიდნენ, გაისმა უცებ ბრძანება, შეჩერდითო, და კოლონის ეზოს განაპირას მიაყენეს, მოპირდაპირე მხრიდან ესესელთა დივიზია ჩექმების ბრაგაბრეგით მოაბიჯებდა. ლევანმა შეამჩნია, რომ გერმანელები მეთვალყურენი ესესელთა მედიდური მსვლელობით იყვნენ გართულნი, მიმოიხედა. მის უნებურად გვერდით სახლის კედელზე მიერთო ფირნიშს მიაშტერდა — მოდლინის ქ. № 109 — ამოიკითხა. ქვედა სართულში გრძელი დერეფნის ფანჯარა ღია იყო. გული აუჩქროლდა. ორი ნაბიჯი და სამშვიდობოს იქნება. ვითომ? ვინ იცის, ვის შეეჩხენება. ამ კითხვაზე პასუხი აღარ გაუცია, ისე ინსტიქტურად ისკუპა ფანჯარაში, სულმოუთქმელად გაირბინა დერეფანი, შემდეგ ეზო. მოშორებით ბოძზე სუსტი ნათურა ბეუტავდა. ესეც მისდა იღბლად. ყანის პირას ფიცრის მოფამფალებული საკუჭნაო იდგა. კარს ეცა, მაგრამ დაკეტილი დახვდა. იქვე კედლის ძირში მიწას ხელებით ჩიჩქნა დაუწყო, ძლივძლივობით შეფოფხდა და გაუჭრიდა. გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. მთელი სხეული უცახცახებდა.

ერთი შიში მეორემ შეცვალა — ვინ მიაკითხავდა ამ „დაუპატიჟებელ სტუმარს“ და ისიც ვის? — გამოქცეულ ტყვეს. „მასპინძელი“ მხოლოდ მესამე დღეს გამოჩნდა. კარმა დაიჭრიალა... პოლონელი მოხუცი ქალი მის დანახვაზე ოდნავ შეტრამბანდა. ჭრაქმა გაანათა ლევანის გაძვალტყავებული სახე, მუდარით მზირალი თვალები.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: (ზევით) ასე გამოეხმაურა „ტრიბუნა ლიუდუ“ მეგობართა შეხვედრას იაბლონაში. (ქვევით) ექიმ ლევან პაპიძისა და პოლკოვნიკ ლონგინოზ პაევსკის შეხვედრა თბილისის სადგურზე.

ფოტო გ. გოგოხიასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა მისმა სიცოცხლემ გერმანელთა ხელიდან ამ მოხუცი ქალის ხელში გადაინაცვლა. იგი საიმედო აღმოჩნდა.

ქართველი კაცი უყოყმანოდ შეიფარა მაშა ნოვიცკას ოჯახმა, სადაც მოხუცი ქალის გარდა ორი მისი ვაჟიშვილი იუზეფი და გრიშეკი ცხოვრობდა.

უპატრონეს. ძველმანებით შემოხეს. ღარიბ ოჯახს უმირდა და მაშა ნოვიცკას არაერთხელ მოუმთხოვრებია ლუკმაპური ლევანისათვის.

გასოცარი იყო მათი რისკი ამ ერთი ადამიანის სიცოცხლისათვის. ვინ მოთვლის, რამდენჯერ აუფორიაქებიათ ეს ტანჯული მოხუცი გერმანელ პატრულებს თავიანთი უდროო სტუმრობით.

მალე სხვა ნაცნობებიც გამოჩნდნენ — ვუიციკი, სულიმიერსკი, ამ უკანასკნელმა თავის სახლში გადაყვანის შემდეგ ყალბი დოკუმენტებიც კი დაუმზადა.

იაბლონას ევაკუაციის შემდეგ მაშა ნოვიცკამ ლევან პაპიძე ლუმინაკში თავის დასთან გადახიზნა. აქ გაიცნო და დაუახლოვდა ექიმ ლონგინოზ პაევსკის ოჯახს. მასთან დარჩენა საშიში იყო, ეჭვს მიიტანდნენ, ამიტომ ვლადიმირ-ვოლინსკიდან ევაკუირებულ რუსულ ოჯახში მიუჩინეს თავშესაფარი. პაევსკი სასტუმატურად აკითხავდა და ხან რა მიჰქონდა, ხან რა.

ლევანიც შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა პოლონელ მეგობარს ავადმყოფების მკურნალობაში.

მალე მისამართი კვლავ შეიცვალა — იაქტოროვო, ვიუბიცკების ოჯახი. ისევ კონსპირაცია, ქართველი კაცის გადარჩენისათვის ზრუნვა.

ლევან პაპიძე თავის იღბალს ლოცავდა, რომ მისთვის უცხო მიწა-წყალზე ასეთ სულგრძელ, მადლიან ადამიანებს გადაეყარა. უფრო მეტად კი იმ ადამიანებს, იმ ოჯახებს ლოცავდა, ვინც ფაშისტთა იარაღქვეშ მისი ცხოვრების ისტორიის ყველაზე დიდ თავს წერდა, წერდა შიშით, რისკით, სიყვარულით.

ფრონტიდან კარგი ამბები მოდიოდა. იგი თანდათან უახლოვდებოდა პოლონეთის საზღვრებს...

ᲝᲛᲘᲡ ნაფერფლარზე ახალი ცხოვრების ნერგმა იხარა, იზარდა, დაკვრტდა, აყვავდა.

16 წელი გავიდა ამ ამბის შემდეგ, და თბილისის ფაზიოთერაპიული საავადმყოფოს ექიმი ლევან პაპიძე ტურისტად ეწვია პოლონეთს.

„ტრიბუნა ლიუდუს“ რედაქციაში წერილი მიიტანა. მადლობის პატარა წერილი, რომელშიც წვალებით მოათავსა მთელი გულისნადები. იგი სთხოვდა რედაქციას დახმარებოდნენ რამდენიმე პოლონური ოჯახის მოძებნაში.

მეხსიერ დღეს ვარშაველებმა გაზეთში წაიკითხეს ქართველი კაცის ეს წერილი, ნახეს მეგობრების ერთად გადაღებული სურათიც. რედაქცია კი წერილის ქვეშ მოთ მოთავსებულ შენიშვნაში აღწერდა ამ ნამდვილად ამაღელვებელ შეხვედრას. შეხვედრას იაბლონაში, „ფუმიანკაში... პაევსკისთან, ვუიციკთან, ნოვიცკასთან... პოლონეთის ახალ ცხოვრებასთან.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ განახლდა. ვარშავა-თბილისი, თბილისი-ვარშავა — წერილი წერილს მოსდევდა...

ლევან პაპიძეს არ ივიწყებენ, სიყვარულით იხსენებენ. განა ამას არ მოწმობენ ვარშავიდან მიღებული უბრალო, მაგრამ ლევანისათვის ძვირფასი საჩუქრები, რომლებზეც ასეთ წარწერებს წაიკითხავთ:

ძვირფას მეგობარს, ჩვენი შმობლიური მიწის განთავისუფლებისათვის მებრძოლს ამხანაგ ლევან პაპიძეს ვარშავაში ყოფნის აღსანიშნავად.

ᲘᲝᲠᲘ ᲪᲘᲪᲐᲜᲝᲕᲘᲩᲘ,
პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე.

ან „დიდად მატივცემულ ლევან პაპიძეს ჩვენი შეხვედრისა და პოლონეთ-საქართველოს მეგობრობის ნიშნად.

ᲕᲣᲘᲪᲘᲙᲘ.

და აი დღეს თბილისელ ჭაღარათმიან ექიმს დიდი ოჯახური ზეიმი აქვს. მისი სტუმარია პოლონეთის არმიის პოლკოვნიკი ლონგინოზ პაევსკი ცოლ-შვილით.

ერთი კვირაა სიყვარულის მოკვარბებული გრძნობით შეხვიარან ერთმანეთს მეგობრები. ერთი კვირაა საუბრობენ და კიდევ ბევრი აქვთ სათქმელი. ერთმანეთის ენა არ იცით, მაგრამ თვალებით საუბრობენ.

ამ თვალებით მათ ბევრჯერ სიკვდილსაც შეხედეს. მაგრამ ეს იყო და აღარ უნდა გამეორდეს.

ახლა მათ, ისევე როგორც ყველას, სურთ უყურონ თავიანთ მომავალს, ხალხთა მომავალს უღრუბლოს, მზიანს, მშვიდობიანს.

Გ. ᲡᲐᲛᲡᲝᲜᲐᲫᲔ.

„ᲓᲐᲘᲡᲡ“ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲜ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ

ᲘᲛ საღამოს ყოველივე თავისებურად ახალგაზრდული, გულწრფელი იყო, ყველაფერში იგრძნობოდა ის დიდი მონდომება და შინაგანი სიმტკიცე, რომელიც მხოლოდ ახალგაზრდობის თვისებაა.

არაერთხელ მომისმენია სახელმწიფო უნივერსიტეტის სიმფონიური ორკესტრი და მომღერლები, და მაინც ავიმაგ, რომელიც იუწყებოდა ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისს“ დადგმას, ერთგვარად ჩამაფიქრა. რაოდენ ძნელია ისეთი რთული სინთეზური ჟანრის დაუფლება, როგორიც არის ოპერა, რაოდენ დიდ მომზადებას მოითხოვს იგი. ასეთი გრძნობით შევედი თეატრში, მაგრამ სპექტაკლის დამთავრების შემდეგ სიხარული ვიგრძენი იმის გამო, რომ პროფესიულმა ხელოვნებამ ღრმად გაიდგა ფესვები ფართო მასებში.

კარგია, რომ უნივერსიტეტელებმა სწორედ „დაისზე“ შეაჩერეს არჩევანი. ოპერა ხომ მეოდიის არაჩვეულებრივი სიუხვით გამოირჩევა. ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ იგი ადვილი შესასრულებელია, მაგრამ მისი მუსიკის საოცარი გულწვდომა განსაკუთრებით ახლობელს ხდის „დაისს“, უწინარეს ყოვლისა თვით მომღერლებისათვის.

პირველად უნდა შევაქოთ უნივერსიტეტის სიმფონიური ორკესტრი, რომლის შესრულება აკადემიურობით, ანსამბლურობით და ნიუანსების სიმდიდრით გამოირჩეოდა.

როდესაც სცენაზე გუნდის მონაწილენი გამოვიდნენ, შემდეგ მოცეკვავეები და მიმისტები, შთაბეჭდილება კიდევ უფრო გაძლიერდა, იმდენად დაცული იყო სტილიც, მუსიკის სპეციფიკურობაც, ეპარული საყოფაცხოვრებო სცენების კოლორიტი.

მოქმედ პირთა შორის ძველ ნაცნობებს შევხვდით. ისინი ჩვენს კონსერვატორიაში სწავლობდნენ. ახლა პროფესია შეეცვალეს, მაგრამ არ ავიწყდებათ ხელოვნება. გ. ზეგალინიძემ და თ. ჩოჩუამ ოპერაში პროფესიონალიზმის ნაკადი შემოიტანეს. ლ. კვანტალიანმა, გ. ნესტერენკომ, თ. ნოზაძემ, ა. ციცილაშვილმა მოგვხიბლეს შინაგანი მუსიკალობით და უშუალობით.

ყველაფერში იგრძნობოდა, რომ სპექტაკლის მხატვრული დონე, მოლიანობა დამდგმელი ჯგუფის დიდი და ხანგრძლივი მუშაობის ნაყოფია. ესენი არიან გ. ფალიაშვილი, გ. გაჩეჩილაძე, ო. ლიფანაშვილი, გ. მუნჯიშვილი, გ. ბაკრაძე, რ. ჯოხოსელიძე, ლ. სილიკაშვილი, ი. გორდონი.

სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიჭიერმა ახალგაზრდობამ თუ „დაისი“ დაძლია, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მისი რეპერტუარი მომავალში კიდევ უფრო გამდიდრდება.

ᲛᲘᲠᲐ ᲤᲘᲩᲮᲐᲫᲔ.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: სცენა სპექტაკლიდან, „კიაზო — თ. ჩოჩუა (მარცხნივ) და ცანგალა — თ. ნოზაძე.

ფოტო გ. გოგოხიასი.

ᲞᲐᲠᲐᲖᲘᲢᲔᲑᲘ ᲞᲐᲚᲛᲔᲑᲘᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲘᲗ

ᲯᲔᲠ კიდევ შარშან გაზეთ „კომუნისტში“ მხილებულ იყვნენ კომბინატორები, რომლებმაც გაგრაში, ამ შშვენიერ ზღვისპირა კურორტზე მოიკალათეს და უმრომლად, სხვადასხვა მაქინაციების გზით ასიათასებს ატრიალებდნენ. აიგეს საუკეთესო სახლები, მოაწყეს ძვირფასი ავეჯით, შეიძინეს მსუბუქი ავტომანქანები. გამოვლენილები იყო აგრეთვე ინდივიდუალურ ბინათმშენებლობაში საბჭოთა კანონების უხეში დარღვევის ფაქტები.

ამ საკითხზე წერილის გამოქვეყნების შემდეგ იმსჯელეს პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიურომ და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ და სათანადო გადაწყვეტილებაც მიიღეს. გამოვლენილებულ სტრიხონულ ნაკლოვანებათა გამო სამუშაოდან გაათავისუფლეს გაგრის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ავიძბა და აღმასკომის მთავარი არქიტექტორი ბ. კუცია.

მაგრამ გაზეთში მხილებულ ნაკლოვანებათა გამო დასახული ღონისძიებების ბოლომდე განხორციელებისათვის არ იზრუნეს პარტიის გაგრის რაიკომმა, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა, პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის ორგანოებმა. სამწუხაროდ, დღემდე არც პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტსა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოში გახსენებიათ თავიანთი გადაწყვეტილების შესრულების შესახებ.

მოვიყვანთ ერთ მაგალითს.

გაგრის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა სახალხო სასამართლოს სხვებთან ერთად გადასცა მოქალაქე ა. ვართანოვის საქმე მის მიერ აშენებულ სახლში ზედმეტი საცხოვრებელი ფართობის ჩამორთმევის თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ მისი სახლის საცხოვრებელი ფართობი 113 კვადრატულ მეტრს შეადგენს, ხოლო ამ ხელა სახლში მარტო ა. ვართანოვი ცხოვრობს, სახალხო სასამართლომ (თავმჯდომარე ა. წაბრია) რატომღაც საქმის დიდი ხნით გაჭიანურების შემდეგ 1962 წლის 12 მარტს შემდეგი დადგენილება გამოიტანა:

...„გაგრის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სარჩელს მოქ. ა. ვართანოვისათვის ზედმეტი საცხოვრებელი ფართ

აღფრთოვანებული ვარ

რამდენიმე კონცერტი გამართა თბილისში კოროვის სახელობის პარკის სარტულ არენაზე რუმინეთის საესტრადო ორკესტრმა „ელექტროკორდმა“. ამ ნიჭიერმა საესტრადო კოლექტივმა თბილისელ მსმენელთა მოწონება დაიმსახურა.

გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ესაუბრა ორკესტრის ხელმძღვანელს ჯელუ სოლომენესკუს, რომელმაც თქვა: „აღფრთოვანებული ვართ თქვენი ქალაქის მცხოვრებლებით. მოგვეხიბლა თქვენმა მოსიყვარულე და თბილმა საზოგადოებამ. გთხოვთ გადასცეთ გულთბილი მადლობა ჩვენი ორკესტრის ყველა წევრისაგან გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს“.

• • •

სურათებზე: (ზემოთ მარცხნივ) — მღერის ორკესტრის სოლისტი ა. მიგა, (ქვემოთ) — საესტრადო ორკესტრის გამოსვლა.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

მამაცებს — ღირსეული ჯილდო

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში დაბეჭდილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ზრძანებულება შალვა და ილია ჯაფარიძეების, თეოფანე ბულიას მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ და ზაქარია ამბროლაძის მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

ბუნებრივია, მკითხველს აინტერესებს. რისთვის დაიმსახურეს მამაცმა ადამიანებმა მთავრობის ეს ჯილდო.

აი მათი მოკლე ისტორია.

ზუგდიდის რაიონული ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ბრიგადირი თეოფანე ბულია სამუშაოდან შინ ბრუნდებოდა. მოშორებით სახლიდან ქალის კივილი შემოესმა. შემდეგ ცეცხლის ალიც ეცინაზა. მყისვე მიაშურა ცეცხლმოდებულ სახლს. შიშისაგან თავზარაცემული ედა მცირეწლოვან ბავშვებს გადახვეოდა და უმწეოდ კოდა. თეოფანე ბულიამ ედა და ორი შვილი უვნებლად გამოიყვანა ნახევრადდამწვარი სახლიდან.

მეორე შემთხვევა მოხდა შარშან. მესტიის ადგილობრივი მეურნეობის კომბინატის ადმინისტრაციულ სახლს ხანძარი გაუჩნდა. იგი სწრაფად ვრცელდებოდა. ეს ამბავი შენიშნა რაისაბჭოს აღმასკომის მძღოლმა შალვა ჯაფარიძემ, შეიჭრა შენობაში და ხანძრის ჩაქრობა დაიწყო. დაეწვა ხელები, სახე, მაგრამ ცეცხლს მაინც სძლია. სახლი გადარჩა.

მესტიის რაიონში მამაცური საქციელით თავი ისახელა აგრეთვე რაიონული სახანძრო რაზმის უფროსმა ილია ჯაფარიძემ.

რაიკომის შენობის მახლობლად მდებარე ლ. ჯაფარიძის სახლიდან ავარდნილი ცეცხლის ენები ცას სწვდებოდა. რაიკომის შენობა და ახლომახლო მდებარე სახლები დაწვის საფრთხეში იყო. მოგვიანებით გამოძახებული სახანძრო რაზმი რაც შეიძლებოდა სწრაფად მოქმედებდა. რაზმის უფროსის ილია ჯაფარიძის უნარიანმა ხელძღვანელობამ, დროულმა განკარგულებებმა და პირადმა მაგალითმა დაწვას გადაარჩინა რამდენიმე შენობა.

თერჯოლაში ჩამოდის წყალუხვი მდინარე წყალწითელა. და აი აპრილის ერთ დღეს ადიდებულ მდინარეში გადაიჩეხა მანქანა, რომლის კაბინაში მძღოლი და მგზავრი ისხდნენ. მანქანა წყალმა დაფარა და ორივენი დაიხრჩობოდნენ, ეს ამბავი თერჯოლის ბენზინის სარეალიზაციო წერტის გამყიდველს ზაქარია ამბროლაძეს რომ არ შეემჩნია. იგი თავგანწირულად გადაეშვა მდინარეში და ორი სიცოცხლე გამოსტაცა აზვირთებულ მდინარეს.

ახალი ამბები

დისტანციის ნახევარი

ლვოვი, 28 ივნისი. (საკდესი). გუშინ სალამოს გაიმართა სსრ კავშირისა და იუგოსლავიის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდების მატჩის მესამე ტური, რომლითაც დამთავრდა შეხვედრის პირველი ნახევარი.

ყაიმით დამთავრდა ბერტოკ-პოლუგაევსკის, პარმა-ტკიმანოვის, მინიჩ-გიპსლისისა და ლეგოროვიჩ-ბრონშტეინის პარტიები. ბორისენკომ მოუგო პიბერლს, ზვორიკინმა — იოვანოვიჩს.

ივკოვ-ვასიუკოვის პარტია დამთავრდა საბჭოთა გროსმაისტერის გამარჯვებით.

სამი ტურის შემდეგ ანგარიშია 19,5:7,5 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ.

ჩრდილოეთ ოსეთის თეატრალთა გასტროლების წინ

სამიდან თორმეტ იკლასამდე გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობაში სპექტაკლებს გამართავს ჩრდილოეთ ოსეთის მუსიკალურ-დრამატული თეატრის კოლექტივი.

ეს თეატრი ჩამოყალიბდა 1935 წელს. თავიანი არსებობის მანძილზე თეატრს არაერთხელ უმოგზაურნია წარმატებით საბჭოთა კავშირის ქალაქებში. 1954 წელს იგი საგასტროლოდ იმყოფებოდა თბილისში.

თეატრის მთავარი მიმართულება ჰეროიკულ-რომანტიკულია. საქართველოს დედაქალაქში სტუმრები აპირებენ თავიანთ საუკეთესო დადგმებს: შექსპირის „მეფე ლირსა“ და „ოტელოს“, ლერმონტოვის „ეს პანელებს“, ნუშიჩის კომედიას „ქალბატონი მილიონერი“ და ოსი დრამატურგების ორ ორიგინალურ პიესას — მამსუროვის „ხასანს“, ბრიტაევასა და სალამოვის „ასე იბადება სიმღერა“.

სპექტაკლებში მონაწილეობას მიიღებს გამოჩენილი ტრაგიკოსი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ვლადიმერ თხაპსაევი. ჩვენი მაყურებელი მას კარგად იცნობს „ფატიმას“, „ასე იბადება სიმღერა“, „ირისტონის შვილის“ და სხვა კინოფილმების მიხედვით. ვ. თხაპსაევი ითამაშებს მეფე ლირისა და ოტელოს როლებს. „ოტელოში“ იაგოს როლს შასრულებს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ა. ვასაძე.

თეატრი ჩამოდის მთლიანი დასით, თავისი დეკორაციებითა და კოსტიუმებით.

თეატრის მთავარი რეჟისორია რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ზარიფა ბრიტაევა.

გუშინ ქენევაში

დღეს ჩემპიონთა თასის ფინალია

ქენევა მიმდინარე სასპორტო სეზონის ერთ-ერთი დიდი ასპარეზობის მოლოდინშია. როგორც ცნობილია აქ უნდა შედგეს ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალური მატჩი კალათბურთში თბილისის „დინამოსა“ და მადრიდის „რეალის“ ვაჟთა გუნდებს შორის. ეს შეჯიბრება დანიშნული იყო 27 ივნისისათვის, მაგრამ სხვადასხვა მიზეზით დინამოელები მოსკოვიდან მხოლოდ 27 ივნისს გაემგზავრნენ, ამიტომ ბუნებრივია შეხვედრა გადაიდო.

გუშინ რედაქცია ქენევაში ტელეფონით დაუკავშირდა „დინამოს“ გუნდის უფროს მწვრთნელს სპორტის დამსახურებულ ოსტატს **ო. ქორქიას** და თხოვა მას ჩვენი გაზეთის მკითხველთათვის ეცნობებინა, თუ როდის და სად ჩატარდება „დინამოსა“ და „რეალის“ მატჩი, როდის დაიწყება თამაში, როგორია დინამოელთა საბრძოლო განწყობილება, რა ცნობები მოეპოვება მეტოქის შესახებ და სხვ.

აი რა გვიამბო მან:

ქენევაში ჩვენი დაგვიანებით ჩასვლის მიზეზი გამოწვეული იყო იმით, რომ ვიზები შვეიცარიიდან თავის დროზე ვერ მივიღეთ. ამ ქალაქში 27 ივნისს ჩავედით გვიან ღამით. ჩვენ აქ გველოდებოდნენ და გულთბილი შეხვედრაც მოგვიწყეს.

ჩვენი მოწინააღმდეგე — მადრიდის „რეალი“ კარგა ხანია ქენევაში იმყოფება, აქ გადიან ისინი წვრთნას, აწყობენ ამხანაგურ მატჩებს. არ გვინახავს მათი თამაში, არც ვარჯიში, ესპანელები ამას თავს არიდებენ. წინა დღეებში „რეალს“ ამხანაგური მატჩი ჰქონდა შეეცარიის ნაკრებთან და გაიმარჯვა 83:41. გაზეთებში ამ ანგარიშიდან გამოაქვთ დასკვნები და გაკვრით აღნიშნავენ, რომ დინამოელებს დიდი ჯაფა დაადგებათო.

ბილეთები დიდი ხანია გაყიდულია, მატჩი ჩატარდება 29 ივნისს ქენევის ჰოკეის დარბაზში, სადაც დღეს დაგეს იატაკი. ახლა მივეშურებით ამ დარბაზისაკენ, რათა ჩავატაროთ, უკანასკნელი ვარჯიში. მატჩი დაიწყება 21 საათსა და 15 წუთზე, ეს თბილისის დროით უდრის 0 საათსა და 15 წუთს. მსაჯებად დანიშნულია უნგრეთისა და შვეიცარიელი მსაჯები.

ჩვენი მეტოქე — „რეალი“ ძლიერი კოლექტივია. ესპანელებს თავიანთ რიგებში ჰყავთ ნაყიდი „ვარსკვლავები“ ამერიკიდან. ისინი არ მალავენ და აცხადებენ, რომ თასს ესპანეთში მოვლის გამგზავრებაო. სულ სხვა აზრისა არიან ჩვენი ბიჭები, ისინი „ამჯობინებენ“ პრიზის თბილისში ჩამოტანას.

ჩვენ ვთხოვეთ კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ჯონსს, რომ მატჩი 30-ში ჩაეტარებინა, მაგრამ უარყოფითი პასუხი მივიღეთ.

პირველი ხუთეულის შემადგენლობას ასეთნაირად ვვარაუდობთ — ლეჟავა, მინაშვილი, ალთაბაევი, უგრეხელიძე, ხაზარაძე.

დინამოელთა საბრძოლო განწყობილება მაღალია. უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი ამ ბრძოლაში თავს არ შეირცხვენენ.

• • •

გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ ფოტოკორესპონდენტმა ი. მორგულისმა ქენევაში გამგზავრების წინ თბილისის დინამოელებს მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გადაუღო სურათი და ჩვენს რედაქციას გამოუგზავნა. ვბეჭდავთ დინამოელთა ამ სურათს.

ქვედა რიგში — მარცხნიდან — ინწკირველი, ალთაბაევი, უგრეხელიძე, ლეჟავა, კილაძე, **ზედა რიგში** — გოგელია, სხირელი, **ო. ქორქია** (მწვრთნელი), **მოსეშვილი,** მინაშვილი, ხაზარაძე.

ა. კოსიგინი ქ. რომში

რომი, 27 ივნისი. (საკდესი). იტალიის სხვადასხვა ქალაქში 8 დღის მოგზაურობის შემდეგ დღეს რომს დაბრუნდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ნ. კოსიგინი.

რომი, 27 ივნისი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ნ. კოსიგინმა რომში, საბჭოთა კავშირის ელჩის რეზიდენცია „ობაშელეკში“ მიიღო იტალიის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ლ. პრეტი და საუბარი ჰქონდა მასთან.

საუბარი შეეხებოდა სსრ კავშირისა და იტალიის ეკონომიური ურთიერთობის განვითარებასთან დაკავშირებულ პრობლემებს და მიმდინარეობდა სრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში. საუბარში მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის ელჩმა იტალიაში ს. პ. კოზირევმა.

რომი, 28 ივნისი. (საკდესი). სსრ კავშირს ელჩმა იტალიაში ს. პ. კოზირევმა გუშინ საღამოს სადილი გამართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ა. ნ. კოსიგინის პატივსაცემად. სადილზე იყვნენ იტალიის მთავრობის წევრები და მილანის, ტურინის, გენუის, რომისა და იტალიის სხვა ქალაქების ყველაზე დიდი სამრეწველო ფირმების წარმომადგენლები.

სადილის დროს იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ფანფანიმ ა. ნ. კოსიგინს გადასცა პირადი წერილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისადმი. ეს არის პასუხი საბჭოთა მთავრობის მეთაურის წერილზე, რომელიც ა. ნ. კოსიგინმა გადასცა ა. ფანფანის წინა შეხვედრის დროს რომში.

კენედის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, 28 ივნისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კენედიმ გუშინ დღის მეორე ნახევარში მოაწყო პრეს-კონფერენცია.

პრეს-კონფერენციის დასაწყისში პრეზიდენტმა გაიკეთა განცხადება, რომ მდგომარეობა ტაივანის სრუტის რაიონში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის „სერიოზულ შეშფოთებას“ იწვევს. ამ მდგომარეობას, მისი სიტყვით, ახასიათებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჯარების გადაადგილება ამ რაიონში, რომლის მიზანი „გაურკვეველია“. კენედიმ განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა ამ რაიონში უცვლელი რჩება და რომ „შეერთებული შტატები განახორციელებენ საჭირო მოქმედებას, რათა უზრუნველყონ ფორმოზისა და ბესკადორის კუნძულების დაცვა“.

ამასთან დაკავშირებით პრეზიდენტს მისცეს მთელი რიგი შეკითხვები პრესაში დაბეჭდილი იმ ცნობების გამო, რომ ჩანკაიშელები აპირებენ შეიჭრან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ერთ-ერთმა კორესპონდენტმა, კერძოდ, პირდაპირ დასვა შეკითხვა, თუ როგორია „შეერთებული შტატების პოზიცია მატერიკის ტერიტორიაზე ჩინეთის ნაციონალისტური ძალების დაბრუნების საკითხში“, გაიხსენა „ტაივანიდან მიღებული ცნობები, რომ, შესაძლოა, ახლოვდება ასეთი ღონისძიების დრო“. პრეზიდენტმა არ შეაფასა ეს ცნობები, გაიმეორა, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატების ღონისძიებებს ამ რაიონში „თავდაცვითი ხასიათი“ ჰქონდეთ.

იმ თხოვნის პასუხად, რომ გამოეთქვა აზრი, შესაძლებელია თუ არა ამერიკის ჯარების თანდათანობით გაყვანა ევროპიდან, კენედიმ განაცხადა, რომ ახლა ეს ნამდვილად გამორიცხულია, ყოველ შემთხვევაში მანამ, „სანამ მკაფიოდ არ წარმოვიდგენთ, როგორი იქნება შემდგომი მდგომარეობა ბერლინში“.

ხელს უწყობენ აგრესიას

ტოკიო. (საკდესი). იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ამტკიცებს, რომ იოკოსუკას სამხედრო ბაზიდან ამერიკის მე-7 ფლოტის ხომალდების გადაყვანა ტაივანის სრუტის რაიონში არ შეიძლება იყოს „წინასწარი კონსულტაციების“ საგანი, რომლებიც გათვალისწინებულია იაპონია-ამერიკის „უშიშროების ხელშეკრულებით“. იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ წინასწარი კონსულტაციები არ იწარმოებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამერიკის მე-7 ფლოტის საბრძოლო ხომალდები, რომლებსაც ბაზა აქვთ იაპონიის ნავსადგურებში, „გავლენ ზღვაში საბრძოლო ოპერაციებისათვის“.

ბილგაოელები კვლავ გაიფიცნენ

პარიზი, 27 ივნისი. (საკდესი). კვლავ გაიფიცენენ ესპანეთის ბისკაიის პროვინციის მშრომელები. ისინი მოითხოვენ ხელფასის გადიდებასა და მათი ამხანაგების გასთავისუფლებას, რომლებიც ფრანკისტულმა პოლიციამ დაატყვევა ჯერ კიდევ გასულ თვეში მასობრივ გაფიცვებში მონაწილეობის გამო. ამ პროვინციის ცენტრ ბილბაოში ელექტროსაშენებელი კომპანია „ხენერალ ელექტრიკა ესპანოლას“ ქარხნის ოთხმა ათასმა მუშამ შეწყვიტა მუშაობა და მოითხოვს დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ დაპატიმრებული მუშები, იუწყება მადრიდიდან ფრანს პრესის საგანგებოს კორესპონდენტი.

კორესპონდენტის სიტყვით, ხელისუფალნი შიშობენ, რომ საგაფიცო მოძრაობა კვლავ გავრცელდება ბილბაოს რაიონის სხვა საწარმოებში.

ბისკაიის პროვინციის გუბერნატორმა, რომელიც ცდილობს დაამშიოს კომპანია „ხენერალ ელექტრიკა ესპანიოლას“ გაფიცული მუშები, ბრძანება გასცა „გაუოკვეველი ვადით“ დახურონ ქარხანა. ადგილობრივ გაზეთებში გამოქვეყნებულ კომენტარებში ეს ფრანკისტული მოხელე კვლავ ყველაფერს აბრალებს „პოლიტიკურ აგიტატორებს“.

საბჭოთა მოჭიდავეების ტრიუმფი

საბჭოთა კავშირის გუნდი პირველ ადგილზე

შორეული ტოლიდოს საჭიდაო ხალიჩებზე ცხარე ბრძოლები მიწუნარდა, ფინალურმა მატჩებმა გამოავლინეს მსოფლიოს ახალი ჩემპიონები კლასიკურ ჭიდაობაში, გამარჯვებულებს საზეიმოდ გადასცეს ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები.

ჩვენმა კლასიკურმა მოჭიდავეებმა გამოამეჟღავნეს შესანიშნავი ტექნიკური და ფიზიკური მომზადება, გამარჯვებისადმი სწრაფვა. ჩემპიონატს ზოლად გასდევდა საბჭოთა სპორტსმენების უპირატესობა და შედეგიც სასიხარულო აღმოჩნდა. სამი ოქროს, ამდენივე ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი — აი ჩვენი კლასიკური მოჭიდავეთა ნადავლი ტოლიდოში.

აღსანიშნავია, რომ რვავე საბჭოთა მოჭიდავე ფინიშამდე დაუმარცხებლად მივიდა. ადგილობრივი გაზეთები მაღალ შეფასებას აძლევდნენ ამ წარმატებას და დასძენდნენ, რომ თითქმის არც ერთ მსოფლიო ჩემპიონატს არ ახსოვს ასეთი შედეგები.

უმჩატეს წონაში წარმატებით გამოვიდა საბჭოთა სპორტსმენი ს. რიბალკო. მან მაღალ დონეზე ჩაატარა შეხვედრათა უმრავლესობა და მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა. ბევრი, მომდევნო წონაში გამარჯვებას ქართველ მოჭიდავეს ო. ეგაძეს უწინასწარმეტყველებდა. უკანასკნელ დღეს მან კიდევ ერთი წმინდა გამარჯვება მოიპოვა რუმინელ ი. ჩერნიანასთან. მაგრამ იაპონელ მ. იტიგუტისთან ბრძოლის უკანასკნელ წამებში დამარცხება განიცადა და ვერცხლის მედლით დაკმაყოფილდა. ეს შედეგი ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდა სპორტსმენის დიდი გამარჯვებაა.

ქვემსუბუქ წონაში უძლიერესი იყო უნგრეთის წარმომადგენელი ი. პოიაკი და ოქროს მედალიც მას გადაეცა. საბჭოთა მოჭიდავე კ. ვირუპაევმა მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა. მომდევნო წონაში გაიმარჯვა თურქმა მოჭიდავემ კ. აივაზმა. ვ. როსინი (სსრ კავშირი) მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა.

ქვესაშუალო წონაში საბჭოთა სპორტსმენს ა. კოლესოვს ბადალი არ ჰყავდა და დამსახურებულად მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული. საშუალო წონაში გამარჯვება ხვდა თურქ მოჭიდავეს ტ. კიტსს.

ჭიდაობის შესანიშნავი ტექნიკა აჩვენა საქართველოს მოჭიდავემ რ. აბაშიძემ. მან წარმატებით ჩაატარა დასკვნითი შეხვედრები და მეორეჯერ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის წოდება ქვემძიმე წონაში. მძიმე წონაში ჩემპიონი გახდა უნგრელი სპორტსმენი ი. კოსმა. საბჭოთა მოჭიდავემ ა. როშჩინმა მეორე ადგილი დაიკავა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი იყო სსრ კავშირის კლასიკურ მოჭიდავეთა ნაკრები კოლექტივი, რომელიც ძირითადად დაკომპლექტებული იყო ახალგაზრდობით. მეორე ადგილი დაიკავეს თურქებმა, მესამე — ბულგარელებმა.

• • •

ტოლიდოში სსრ კავშირის სამმა სპორტსმენმა ოქროს მედლები მოიპოვა კლასიკურ ჭიდაობაში. **სურათებზე:** მარცხნიდან — მსოფლიოს ჩემპიონები ს. რიბალკო (უმჩატესი წონა), ა. კოლესოვი (ქვესაშუალო წონა) და რ. აბაშიძე (ქვემძიმე წონა).

კიურასაოს საჭადრაკო ფინიში

კიურასაოს საჭადრაკო ბრძოლა ამოიწურა. უკანასკნელი ტურის ორი პარტიის შედეგებზე უკვე ვიუწყებოდით. სწორედ ამ ორმა პარტიამ გამოავლინა უძლიერესი, რომელსაც მომავალი წლის გაზაფხულზე მსოფლიო პირველობაზე მატჩი ექნება მიხეილ ბოტვინიკთან. ეს მოჭადრაკე საბჭოთა გროსმაისტერი ტიგრან პეტროსიანია.

მესამე პარტია გელერსა და ამერიკელ გროსმაისტერ ბენკოს შორის არ დამთავრებულა, იგი გადაიდო გელერსათვის უარეს მდგომარეობაში. მეორე დღეს პარტიის დამთავრებისას გელერი ომვიათი სიზუსტით იცავდა თავს. ბენკოს კი შეძლო მატერიალური და პოზიციური უპირატესობის შენარჩუნება. ამასთანავე გადაიცილა დროს და დამარცხება ჩაეთვალა.

ამრიგად, კიურასაოში შეავსეს საატურნირო ცხრილს უკანასკნელი უჯრედი.

როგორია ტურნირის საბოლოო შედეგები?

პეტროსიანმა 17,5 ქულით პირველი ადგილი ჯერ კიდევ 27 ივნისს გაიხადა. მეორე-მესამე ადგილები ჩვიდმეტ-ჩვიდმეტი ქულით გაიყვეს კერესმა და გელერმა. ფიშერმა 14 ქულა შეაგროვა, კორჩნოიმ — 13,5 ქულა, ბენკომ — 12 ქულა. ტალმა, რომელმაც მხოლოდ სამი წრის პარტიები ითამაშა 7 ქულა შეაგროვა. ფილიპმა შეჯიბრება 7 ქულით დაამთავრა.

მეორე ადგილისათვის მოსალოდნელია კერესისა და გელერის მატჩი.

ლიდერთა მატჩი

გუშინ მოსკოვში შედგა საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ პიველი ქვეჯგუფის ლიდერები — არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და კიევის „დინამოს“ გუნდები. შეხვედრის შედეგია ფრე — 2:2.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

პატივცემულო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით გულითადი მადლობა მოვახსენო ყველა იმ ორგანიზაციას, დაწესებულებასა და ამხანაგს, რომლებმაც მომილოცეს ჩემი თეატრალური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ორმოცი წლისთავი.

დოდო ანთაძე,
რესპუბლიკის სახალხო არტისტი.

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

ატომური იარაღი — ბელგიას

ბრიუსელი, 27 ივნისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ატომური ენერგიის კომისიამ განიხილა საკითხი, რომ გადასცეს ბელგიას საიდუმლო ცნობები ატომური იარაღის გამოყენების შესახებ, რომლითაც უახლოეს ხანში აღიჭურვებიან ბელგიისა და ამერიკის შეერთებული ძალები ბელგიისა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დადებული ძეთანხმების შესაბამისად, იუწყება გაზეთი „ლიბრ ბელჟიკი“.

ამერიკის შეერთებული შტატები, აღნიშნავს გაზეთი, გამოდიან ბელგიის დამოუკიდებელი ატომური ძალების შექმნის წინააღმდეგ. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ბოლმა გახაცხადა, რომ ყოველგვარ ატომურ იარაღს, რომელიც შეიძლება გადასცენ ბელგიის შეიარაღებულ ძალებს, უეჭველია, კონტროლს გაუწევენ ამერიკის შეერთებული შტატები.

ანტიხალხური კანონი

ლონდონი, 28 ივნისი. (საკდესი). სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული მთავრობის კანონი „საერთო კანონის შესწორებათა შესახებ“, რომელიც ფორო ფართოდ ცნობილია როგორც კანონი „ძირგამომთხრელი მოქმედების შესახებ“, რომელმაც ფართო აღშფოთება გამოიწვია მთელ მსოფლიოში, გუშინ ძალაში შევიდა, მას შემდეგ, რაც ეგი გამოაქვეყნა ბიულეტენმა „გაზეტ ოფ ინდიენ“.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრმა ფორსტერმა განაცხადა, იუწყება რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი პრეტორიიდან, რომ კანონი მიმართულია ამ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევიან, და კომუნისტების წინააღმდეგ.

ამ კანონის მიღებით სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობამ გააფართოვა ძირგამომთხრელი მოქმედების განსაზღვრა და ახლა ამას აკუთვნებს გაფიცვებსა და ზოგიერთ სხვა მოქმედებას, რაც წინათ ძირგამომთხრელად არ მიიჩნდათ.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საზოგადოებრიობა, მათ შორის საეკლესიო წრეები, სტუდენტთა ორგანიზაციები, მწერლები, პროფკავშირული მოღვაწენი, იურისტები და ამ ქვეყნის მოსახლეობის სხვა ჯგუფები კვლავ პროტესტს გამოთქვამენ ამ რეაქციული აქტის წინააღმდეგ.

ლონდონი, 28 ივნისი. (საკდესი). სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებული კანონი „ძირგამომთხრელი მოქმედების შესახებ“ ისეთი ნაბიჯია, რომელიც მიზნად ისახავს ანართეიდის პოლიტიკის გაძლიერებას, და იმათი დათრგუნვის საშუალებაა, ვინც გამოდის ამ პოლიტიკის წინააღმდეგ, განაცხადა ბრიტანეთის ტრედუნიონთა კონგრესის გენერალურმა სამბომ.

ამ კანონის დებულებები, ნათქვამია განცხადებაში, უბრალოდ ნიშნავს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მოქალაქეებს, აძლევს და საფრთხეს უქმნის პროფკავშირულ მოღვაწეობას.

ტელეგრაფი გვატყობინებს

39-ე მიწისქვეშა ატომური აფეთქება

ვაშინგტონი, 28 ივნისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ატომური ენერგიის კომისიამ გამოაცხადა, რომ ნევადის შტატში, საცდელ პოლიგონზე განხორციელდა კიდევ ერთი, სათვალავით 39-ე, მიწისქვეშა ატომური აფეთქება. კომისიის ცნობით, ეს აფეთქება ერთ-ერთი ყველაზე მძლავრია ამერიკის ატომური იარაღის აფეთქებათა ახლანდელი სერიიდან, რომელსაც ნევადის პოლიგონზე აწარმოებენ.

□ **საბრაზოებისა** და დიდ ქალაქების პოლიციის უფროსთა ასოციაციის ყოველწლიურ კონფერენციაზე ქალაქ ტოროკში, ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრმა ბატლერმა განაცხადა, რომ პოლიციამ 1961 წელს აღიარება 806.900 დანაშაული, რომელიც კანონით ისჯება. ეს 8,5 პროცენტით მეტია, ვიდრე 1960 წელს იყო. ყველაზე მეტი დანაშაული ჩაიდინეს 14 წლის მოზარდებმა.

□ **ქალაქ** მისიმას რაიონში (იაპონიის სიძუოკას პრეფექტურა) რკინიგზის გვირაბის მშენებლობაზე ჩამოწვა ზვავი. ჩამონგრეულმა მთის ქანებმა ქვეშ მოიყოლიეს გვირაბში მყოფი მუშები. დაიღუპა ერთი მუშა, ხოლო ერთი მძიმედ დასახიჩრდა. უბედური შემთხვევა მოხდა ტოკიოს ავტოსტრადის მშენებლობაზე. ზვავმა ქვაბულში ცოცხლად ჩამარხა სამი მუშა.

□ **ბრიუსელი,** 28 ივნისი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა იმ ქვეყნების მინისტრთა თათბირი, რომლებიც შედიან ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში („საერთო ბაზარში“). ამ თათბირზე განახლდება „საერთო ბაზარში“ დიდი ბრიტანეთის შესვლის საკითხის განხილვა.

□ **როგორც** რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება ყარაჩიდან, რავალპინდის მახლობლად დაიმსხვრა სატრანსპორტო თვითმფრინავი „ბრისტოლი“, რომელიც პაკისტანის სამხედრო-საჰაერო ძალებს ეკუთვნოდა. ეკიპაჟის სამივე წევრი დაიღუპა.

თეატრები

29 ივნისი

რუსთაველის სახელობის — ქუთათურები, **მარჯანიშვილის სახელობის** — ოქრო კაცი ბეწვის ხიდზე, **სანკულტურის** — გმირი ერთი დღით (აბონ. № 18).

ტელევიზია

18.00 — მოსწავლეთათვის — მხატვრული ფილმი „წითური“, 19.20 — სატელევიზიო ჟურნალი „ახალგაზრდული საქმეები“, 20.10 — ახალი ამბები, 20.25 — მხატვრული ფილმი — „თომმეტი ქალიშვილი და ერთი მამაკაცი“.

კინო

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, **ისანი** (სახამთრო), **კომკავშირელი,** **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **ოფიცერთა სახლი** — შესანიშნავი შვიდეული (I-II სერია), **ამირანი** (სახამთრო), **საქართველო** (წითელი დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი, ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, კიროვის სახელობის პარკი** — **მორჩენენები შპესარტის კოშკში, ამირანი** (სახაფხულო) — ბედნიერი დროკონის ტარაგიდა, **გორკის სახელობის კულტურის სახლი** (სახამთრო), **ყაზბეგი** (პირველი დარბაზი), **ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი** — ექიმი ბოტენოვიდან, **თბილისი, 26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **კოლხიდა** (სახამთრო), **გორკის სახელობის კულტურის სახლი** (სახაფხულო), **კომუნარების ბაღი, მზიური, ისანი** (სახაფხულო) — ერთი დღის შეებლება ნაპირზე, **26 კომისრის სახელობის** (სახაფხულო) — ოთარ კარალის საიდუმლოება, **საქართველო** (სახაფხულო) — **სამშობლოდან დაშორებით, კოლხიდა** (სახაფხულო) — როკო და მისი ძმები (I-II სერია), **ყაზბეგი** (მეორე დარბაზი) — აიდა, **თანამგზავრი** — ყველა შინისაკენ.

რადიო

30 ივნისი

პირველი პროგრამით

08.30 — პოპულარული კამერული მუსიკა, 09.20 — საწყვეტები ბელინის ოპერებიდან, 10.15 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 10.45 — ა. ეშპაი. უნგრული ჰანგები, 11.00 — გადაცემა — „მუშათა რადიოგაზეთი“, 11.15 — ამიერკავკასიის ხალხთა მუსიკა, 12.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 12.45 — პიესები არფისათვის, 13.40 — ვალსები, 17.20 — გადაცემა მოსწავლეთათვის, 18.05 — საესტრადო კონცერტი ციკლიდან „იცნობდეთ“, 18.45 — ბრამსი. ვარიაციები პაგანინის თემაზე, 19.15 — ქართული ხალხური მუსიკა, 19.45 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის. დოკუმენტური მოთხრობა „ჯაბუკები“, 20.20 — კონცერტი, 21.05 — ქართული მსუბუქი მუსიკა, 21.30 — ლიტერატურული გადაცემა.

კომუნისტი — ებილისი, ლენინის 14, ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 1-63-03, 3-08-67, პასუხისმგებელი მდივნის — 1-72-80, სამდივნოსი — 3-46-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების, მრეწველობისა და ტრ